ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 6 ივლისი, 2011 №158 (5539) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ ნაპოლეონი 8 ლარი 27 ივნისიდან 11 ივლისამდე




# ხელისუფლებამ ეკლესიაზე ახალი შეტევა დაიწყო

რატომ არ ითვალისწინებს ხელისუფლება პატრიარქის წინადადებას

გვ.4

ამ შემთხვევაში საუბარი არ არის არც ქონების რესტიტუციაზე, არც რაიმე ტიპის საგადასახადო შეღავათებზე, არც მიწის უსასყიდლოდ გადაცემასა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე, რითაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს, რომლის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობაც სახელმწიფოს აღიარებული აქვს



## სახელმწიფო ეკლესიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არ შეცვლის

გვ.2

რა ჩაიფიქრეს ნაციონალებმა



გვ.3

## პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობა 100-მდე უნდა დავიყვანოთ

## ერაყში აფეთქებების შედეგად 27 ადამიანი დაიღუპა

გვ.3

## რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ბუნტია

გვ.4




## საქართველოს პრეზიდენტის ვაჟი რეკორდსმენი გახდა

გვ.5



## სააკაშვილი ესტონეთის პრეზიდენტის მადლიერია

გვ.6



## ჩვენ ხელისუფლების სასწრაფოდ შეცვლა გვჭირდება

გვ.5



## სომხებმა ჩვენი თხოვნა არ გაითვალისწინეს

გვ.6

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 პირადი მონაცემების გაყალბებისთვის ამნისტია გამოცხადდა

5 „ქართული პარტია“ სოფლის მცხოვრებთა ინტერესებს იცავს

3 ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული ძეგლების დაცვა კანონით იქნება გარანტირებული

6 ფალსიფიცირებული სასმელების დამზადება რეალიზაციის ფაქტზე ხუთი ადამიანი დააკავეს

# სახელმწიფო ეკლესიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არ შეცვლის

## რა ჩაიფიქრეს ნაციონალებმა

**ნანა მიშელაშვილი**

საპატრიარქოს თხოვნის მიუხედავად, გუშინ პარლამენტმა რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის შესახებ კანონპროექტის განხილვა მაინც დაიწყო. საპარლამენტო ოპოზიციის თხოვნისა და პროტესტის მიუხედავად, მმართველი უმრავლესობა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვის შეჩერებას რომ არ აპირებდა, ეს ჯერ — კომიტეტის, შემდეგ კი — ბიუროს სხდომაზე გამოჩნდა.

კანონპროექტი, რომელიც რელიგიური გაერთიანებების საჯარო



სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირებას ითვალისწინებს, გუშინ ჯერ იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტში განიხილეს, შემდეგ კი — რიგგარეშე სხდომაზე. იურიდიულ საკითხთა კომიტეტში განხილვისას ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ლევან ვეფხვაძემ და ჯონდი ბაღათურიამ საპატრიარქოს განცხადების გათვალისწინება და საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება მოითხოვეს, რაც უმრავლესობამ არ გაითვალისწინა.

საკითხის ერთ-ერთი ინიციატორი და მთავარი მომხსენებელი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია მიიჩნევს, რომ კანონპროექტს რელიგიურ თემატიკასთან არანაირი კავშირი არა აქვს და მხოლოდ სამართლებრივ მხარეს არეგულირებს.

ლაშა თორდიას თქმით, კანონმდებლობით, რელიგიურ გაერთიანებებს მხოლოდ კერძო სამართლის — არასამეწარმეო, არაკომერციულ სუბიექტებად დარეგისტრირება შეუძლიათ.

— ამ შემთხვევაში საუბარი არ არის არც ქონების რესტიტუციაზე, არც რაიმე ტიპის საგადასახადო შეღავათებზე, არც მიწის უსასყიდლოდ გადაცემასა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე, რითაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს, რომლის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობაც სახელმწიფოს აღიარებული აქვს, — განაცხადა ლაშა თორდიამ.

სანამ თორდია ამ განმარტებას გააკეთებდა, „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ აღნიშნა, რომ, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, მიუღებელია კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა. მისი თქმით, პატრიარქს ჰყოფნის სიბრძნე და გამოცდილება იმისათვის, რომ დაენახა საფრთხე, რის გამოც საკითხის განხილვის შეჩერება მოითხოვა.

ლევან ვეფხვაძემ და ჯონდი ბაღათურიამ კომიტეტის სხდომა დაწყებისთანავე პროტესტის ნიშნად დატოვეს, უმრავლესობამ კი საკითხის განხილვა ოპოზიციის გარეშე დაიწყო. რაც შეხება საპატრიარქოს პოზიციას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მიაჩნია, რომ აუცილებელია შეჩერდეს საქართველოში რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების პროცედურა.

პატრიარქის საგანგებო განცხადება ორი დღის წინ ჟურნალისტებს მამა გიორგი ზვიადაძემ გააცნო.

— მიგვაჩნია, რომ აუცილებელია შეჩერდეს კანონის მიღების პროცედურა — მეორე და მესამე მოსმენა და აღნიშნულ საკითხზე გაიმართოს საჯარო დებატები, თუნდაც ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, რათა ჩამოყალიბდეს საერთო საზოგადოებრივი აზრი და მოხდეს კონსენსუსი მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რადგან ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. ჩვენს მოქალაქეებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს, — ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

მასში ასევე აღნიშნულია, რომ ეკლესიისა და მთლიანად ხალხისთვის სრულიად მოულოდნელად საქართველოს პარლამენტმა 1 ივლისს პირველი მოსმენით მიიღო კანონი რამდენიმე რელიგიური ორგანიზაციისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და კონსტიტუციური შეთანხმება წლების განმავლობაში იყო ფართო განხილვის საგანი და მას საერთაშორისო ექსპერტიზაც ჩაუტარდა.

— თავის მხრივ, ეკლესია არასოდეს წასულა წინააღმდეგი და ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოში არსებული სხვა რელიგიებისადმი სტატუსის მინიჭებას და მათი უფლებების განხორციელებას, მაგრამ ამ პროცესს სათანადო გაგრძელება არ მოჰყოლია, ანუ ხელისუფლების მხრიდან არ შექმნილა მრავალმხრივი სახელმწიფო კომისია, სადაც საკითხი იქნებოდა შესწავლილი და შეჯერებული, — ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ სხვა სახელმწიფოებში არც ქართული მართლმადიდებლური ტაძრების საკუთრებისა და მოვლა-პატრონობის საკითხი დასმულა დღემდე და არც ქართული ეკლესიის სტატუსის განხილვა დაწყებულა.

რაც შეხება პარლამენტში უმრავლესობის წევრების მიერ მომზადებულ კანონპროექტს, თავიდან მასში სხვა ფორმულირება ეწერა, შემდეგ კი ეს ფორმულირება შეიცვალა. თავდაპირველად ეწერა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩაითვლებიან რელიგიური გაერთიანებები, რომლებსაც გააჩნიათ მჭიდრო ისტორიული კავშირი საქართველოსთან. კერძოდ, რომაული კათოლიკური ეკლესია, სომხური სამოციქულო წმინდა ეკლესია, მუსლიმანთა თემი, იუდეველთა თემი და საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია.

შემდეგ ეს ფორმულირება შეიცვალა და სულ სხვა ჩანაწერი გაჩნდა. კერძოდ, მეორე მოსმენით წარდგენილ კანონპროექტში ჩაიწერა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური გაერთიანებები ან ის რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც ასეთი სტატუსით სარგებლობენ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყანაში. ოპოზიციამ ეს ჩანაწერიც გააპროტესტა. მათი მტკიცებით, ამ ჩანაწერით კიდევ უფრო მეტი ბუნდოვნება შევიდა კანონპროექტში.

ოპოზიციის პოზიცია უმრავლესობამ გააკრიტიკა. მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, გოკა გაბაშვილი, ოპოზიციას მოუწოდებს, თემების ტაბუირება არ მოხდეს და საკითხი განიხილონ.

გოკა გაბაშვილის განცხადებით, პარლამენტის ვალდებულება და უფლებამოსილებაა, მსგავსი საკითხები გადაწყვიტოს. მისივე თქმით, საუბარი არ არის რელიგიურ საკითხებზე, არამედ საუბარია ადმინისტაციულ-სამართლებრივ-ორგანიზაციულ საკითხებზე. გაბაშვილის თქმით, როდესაც საუბარია მართლმადიდებელ ეკლესიაზე, განსაკუთრებული სტატუსი მას აქვს და ეს განსაზღვრულია კონკორდატით და გამაგრებულია კონსტიტუციით.

— რაც შეეხება სამართლებრივ-ისტორიულ ფორმას, ამას არანაირი შეხება არა აქვს საპატრიარქოსთან. აქ საუბარია სხვა რელიგიურ გაერთიანებებზე და მათთვის სამართლებრივი ფორმის მოფიქრებასა და



შეთავაზებაზე, რომ მათი დარეგისტრირება მოხდეს, — აღნიშნა გაბაშვილმა და იქვე დასძინა: გამოვხატოთ ჩვენი ტოლერანტობა და არ მოხდეს თემების ტაბუირება.

საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებით, რელიგიური გაერთიანებების სტატუსთან დაკავშირებით კონსულტაციები საქართველოს საპატრიარქოსთანაც გაიარეს. ეს განცხადება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა გააკეთა.

„კანონპროექტში ცვლილებები შევიდა, მანამდე კი ჩვენ კონსულტაციები გავიარეთ ყველა დაინტერესებულ პირთან, მათ შორის, რა თქმა უნდა, საპატრიარქოსთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და, ვფიქრობთ, ოპტიმალური ვარიანტი შევიმუშავეთ“, — აღნიშნა კუბლაშვილმა.

მისივე შეფასებით, ეს თემა წლების განმავლობაში დაბლოკილი იყო და რელიგიურ გაერთიანებებს სტატუსის გარეშე უწევდათ საქმიანობა.

— ეს ხარვეზი, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და პარლამენტის გამოსასწორებელია, რომ მათ საქმიანობას შეექმნათ სამართლებრივი საფუძვლები, — აღნიშნა კუბლაშვილმა. პავლე კუბლაშვილის განცხადებაში ეჭვი არ შეუტანია ედპ-ის წევრ გურამ ჩახვაძეს, თუმცა, მან დეპუტატებს ღირსების გამოჩენისა და საპატრიარქოს



თხოვნის გათვალისწინებისკენ მოუწოდა.

— ეს არის სამსჯელო თემა, რასაც საზოგადოება ელოდება და ერთადერთი, რის გამოც ვითხოვ საკითხის გადადებას, საპატრიარქოს თხოვნაა. ძალიან გთხოვთ, ანგარიში გაუწიოთ და გაგებით შეხვდეთ. ჩვენ ახლა ვსაუბრობთ მეზობელ და სხვა კონფესიებზე და, ბუნებრივია, ამ კანონში გვინდა დავადასტუროთ პატივისცემა და ტოლერანტობა, თუმცა, ამას ვერანაირად ვერ გავაკეთებთ, თუ პატივს არ ვცემთ დედაეკლესიას, — მიმართა საპარლამენტო უმრავლესობას ჩახვაძემ.

ედპ-ის წევრის თქმით, ამით მოიგებს პირველ რიგში საქართველო და საზოგადოებაც, რადგან კანონის ასე დაჩქარებულ მიღებას ბევრი აჟიოტაჟი მოჰყვება.

„კოლეგებო, მოგმართავთ ყველას, რომ პარლამენტის ღირსება შევინარჩუნოთ და საპატრიარქოს თხოვნას პატივი ვცეთ“, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ უმრავლესობა საკითხის გადადებას არ აპირებდა, ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებმა“ განაცხადეს, რომ რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის საკითხის განხილვაში მონაწილეობას არ იღებენ.

ლევან ვეფხვაძემ უმრავლესობას განუმარტა, რომ საქართველოს ეკლესიამ ამ საკითხზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა და კანონპროექტის გადადება მოითხოვა. პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე ვეფხვაძემ მოითხოვა, რომ კანონპროექტი მეორე და მესამე მოსმენით არ განიხილონ და საკითხის შესწავლა მოხდეს.

სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის ერთ-ერთი ავტორი ნუგზარ წიკლაური კი მიიჩნევს, რომ საკითხის გარშემო რელიგიური თემით სპეკულაციას აქვს ადგილი.

ნუგზარ წიკლაურმა აღნიშნა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით საქართველოში ათასობით ორგანიზაცია — საჯარო სკოლები და სხვადასხვა ტიპის დაწესებულებები ფუნქციონირებს.

წიკლაურის თქმით, მას არც ერთი ადამიანისგან ჯერ არ მსმენია, რომ, მაგალითად, №161 საჯარო სკოლა საკუთარი სტატუსით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არის გათანაბრებული და ეს ერთი და იგივე მნიშვნელობის საკითხებია.

— მთავარია, როგორი სახელმწიფოს შექმნა გვსურს — გვინდა სახელმწიფო, სადაც სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებები მოქმედებს და სადაც სახელმწიფო მათი რეგისტრაციის წესს უზრუნველყოფს, თუ გვინდა ქვეყანა, სადაც რელიგიური გაერთიანებების მოქმედება შეზღუდული უნდა იყოს, — განაცხადა წიკლაურმა.

უმრავლესობის წევრის მტკიცებით, სახელმწიფო მართლმადიდებელ ეკლესიასა და მასთან დადებულ საკონსტიტუციო შეთანხმებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

წიკლაურმა აღნიშნა ისიც, რომ ქართული სახელმწიფო პირველ რიგში ქრისტიანულ მორალს უნდა ეფუძნებოდეს, რაც სხვების ნიველირებასა და ხელოვნურად შეზღუდვას არ გულისხმობს.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ და უმრავლესობამ საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს, სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. უმრავლესობის წევრი პავლე კუბლაშვილი კონსულტაციებისთვის საპატრიარქოში წავიდა. პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პარლამენტის რიგგარეშე სხდომამდე თავადაც იყო წასული კონსულტაციებისთვის. საპატრიარქოში კონსულტაციების გავლის შემდეგ კანონპროექტში ახალი ჩანაწერები გაჩნდა.

კონსულტაციების შედეგად გადაწყდა: სამოქალაქო კოდექსში ხაზგასმით ჩაიწერება, რომ კონსტიტუციური შეთანხმება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას ეხება.

ამასთან, საქართველოში მხოლოდ ის რელიგიური გაერთიანებები შეძლებენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირებას, რომლებიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიებად.

ლაშა თორდიას თქმით, ასევე კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკებები შესაბამის სახელმწიფოსთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, ასევე სხვა საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე, აგრეთვე შესაბამის სახელმწიფოსთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებით.

ამასთან, საქართველოს პარლამენტი თავის თავზე იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს ცვლილებების მომზადებას შესაბამის კანონში, რომლითაც განისაზღვრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული მართლმადიდებლური ტაძრების დაცვის დამატებითი ღონისძიებები.

კანონპროექტზე ხმაურიანი მსჯელობა პარლამენტში რამდენიმე საათს გაგრძელდა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობა 100-მდე უნდა დავიყვანოთ

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან

*— ბატონო პაატა, დღეს ერთ-ერთი აქტუალური თემა კვლავაც ყოფილი რვიანი და ამჟამინდელი ექვსიანია. ჩვენ არ გვისაუბრია მას შემდეგ, რაც რვიანი დაიშალა. როგორია თქვენი შეფასებები და რა შანსები აქვს ექვსიანს, რომ წარმატებულად გააგრძელოს თავისი საქმიანობა?*

— საკმაოდ საინტერესო რაღაცა მოხდა. რა თქმა უნდა, ამაში კარგი არაფერია, რადგან რვიანის პრინციპული დამოკიდებულება ხელისუფლებას აიძულებდა, უფრო ანგარიშვალდებული ყოფილიყო ქართველი საზოგადოების წინაშე, მაგრამ ზოგიერთმა პარტიამ ვერ გაუძლო ცდუნებას. ეს მათი ნებაა. ნამდვილად არა ვარ მათ მიმართ აგრესიულად განწყობილი, ზოგიერთმა ულირსი სიტყვებიც კი აკადრა. ამას ნამდვილად არ ვიკადრებ. ეს იყო მათი პრაგმატული გათვლა. ისინი თვლიან, რომ ამ ფორმით შეიძლება, წარმატებას მიაღწიონ. ქართველმა ხალხმა უნდა უპასუხოს, რამდენად სწორად მიიღო ეს გადაწყვეტილება. ამას ხალხი დააფიქსირებს არჩევნების დროს, არჩევნები აჩვენებს ამ პარტიების მიმართ ხალხის დამოკიდებულებას. დარჩა ექვსიანი. რა თქმა უნდა, მათი რესურსები შემცირდება ერთიორად, მაგრამ, ამავე დროს, გამოიკვეთა პოზიცია, რომ არის 6 პოლიტიკური პარტია, რომელსაც სურს, არსევნების გზით, დემოკრატიის გზით, კონსტიტუციის გზით ხელისუფლების შეცვლა მოხდეს საარჩევნო გარემოს შეცვლის ფონზე. ამიტომ, მე ვფიქრობ, მკაფიოდ გამოიკვეთა ქართველი საზოგადოების არჩევნის საშუალება. რა უფრო ურჩევნიათ, როგორი პარტიები ურჩევნიათ მათ. ზოგადად დემოკრატიის კუთხით თუ შევაფასებთ, ძალიან კარგი რამე მოხდა. მოხდა ის, რომ დაიწრიტა პოლიტიკური სივრცე. ჯობდა, ეს ყოფილიყო რვიანი, მაგრამ, რადგან არ არის რვიანი და არის ექვსიანი, ექვსიანი იძლევა საშუალებას, ქარვეულ საზოგადოებას მისცეს არჩევანი — დემოკრატიული ღირებულებებისკენ უნდათ სიარული, აგერ ექვსიანით ამის საშუალება აქვთ, უნდათ, დარჩეს ისევ ის რეჟიმი სააკაშვილის სახით, მაშინ ხმა მისცენ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას. უნდათ რუსეთისკენ მიმავალი გზა, აგერ არსებობს კუკავა, ბურჯანაძე და ასე შემდეგ, ანუ უამრავი საშუალება აქვს ქართველ საზოგადოებას, დღეს გააკეთოს არჩევანი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე.

*— საუბარია იმის შესახებ, რომ შესაძლოა ეს ექვსიანი ერთ პოლიტიკურ ბლოკად ჩამოყალიბდეს. რამდენად არის ამის შანსი და ეს რამდენად წარმატებული იქნება?*

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ შანსი არის იმდენად, რამდენადაც შანსი არ არის. ყველაფერი წინ არის, ანუ გამორიცხული არაფერი არ არის. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მათ შორის, ერთიან პოლიტიკურ ან საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბება. დღეს თამამად შეიძლება ითქვას და დღევანდელ სიტუაციას შეიძლება დავარქვათ საქართველო-წელიწადი-ნული, იმიტომ რომ იმით, რაც მოხდა 26 მაისს, იმით, რაც მოხდა ახლა ამ ორი პარტიის გასვლით, ყველა დაზარალდა, მთელი პოლიტიკური სპექტრი დაზარალდა, დაწყებული ხელისუფლებით, დამთავრებული ოპოზიციის ყველა პარტიით. ყველა დავიდა ნულზე. ვერც ერთმა ვერ მოიპოვა უპირატესობა. განულდა პროცესების განვითარება. შესაბამისად, ყველა პოლიტიკური ძალა, პოლიტიკური პარტია და პოლიტიკური ორგანიზაცია ერთნაირად არიან ჩამოშლილები, დასუსტებულები და ერთნაირად აქვთ შანსები, გაძლიერდნენ მომავალში, ანუ არავინ დამარცხებულა სხვის ხარჯზე, ყველა დამარცხდა თავის ხარჯზე. ეს, ერთი მხრივ, კარგია, რომ ყველას ერთნაირი სასტარტო პირობები აქვს. საზოგადოებას აქვს ეს არჩევანი, ეს ჩამოშლილი პოლიტიკური სივრცე და ახალი რეალობები. ერთადერთი პლუსი არის ის, რომ კრიზისი გაძლევს გამოსავლის საშუალებას. კრიზისი არის კატასტროფა, რომელიც ანგრევს ყველაფერს, ასუსტებს მოედანს და ახალი თამაშის წესებს ადგენს, როგორც დღევანდელი სიტუაციაა, ამიტომ ამ ექვსიანიდან შესაძლოა ნებისმიერი ფორმის რამე გამოდნეს. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, საზოგადოების დაკვეთა როგორი იქნება, როგორი უნდათ, რომ ეს ექვსიანი იყოს, როგორი შემართების, როგორი პრინციპების, ამიტომ, მე მგონია, რომ საინტერესო პროცესები მოგველის. როგორც არ უნდა შევაფასოთ ბოლო დღეების მოვლენები, ნაბიჯი უფრო არის წინ, დემოკრატიისაკენ, ვიდრე ნაბიჯი უკან.



*— ექვსიანი აპირებს, რომ სამოქალაქო კუთხით გააქტიურდნენ, ასევე არც მასობრივ საპროტესტო აქციებს გამორიცხავენ. რამდენად მისცემს მას ხელისუფლება საშუალებას, მასობრივი საპროტესტო აქციები გამართონ, იგივე ახალი კანონიდან გამომდინარე?*

— ხელისუფლებას არანაირი უფლება არა აქვს, არ მისცეს საშუალება. კანონი ძალიან ზღუდავს უფლებებს, მაგრამ არ კრძალავს. თუკი იქნება ზომიერი, გონივრული, მოკლევადიანი, მკაფიოდ გამოკვეთილი დღის წესრიგი, ხელისუფლება ვერანაირად აუკრძალავს ამას. მთავარია, ეს არ უნდა გადაიზარდოს რაღაც შეუქცევად პროცესებში. 26 მაისის პრობლემა იყო ის, რომ საზოგადოებამ არ იცოდა, რისთვის იმართებოდა ეს მიტინგები. თურმე 26 მაისის აქციის მიზანი იყო აღლუმის ჩაშლა. არ შეიძლება, აღლუმის ჩაშლა იყოს სერიოზული მიტინგის მიზანი, მით უმეტეს, ამას შეეწირა 5 ადამიანის სიცოცხლე. კითხვა ისმის: ნუთუ აღლუმის ჩაშლას შეეწირა 5 ადამიანის სიცოცხლე? ღირდა კი ეს ყველაფერი ამად? ღირდა ამდენ მსხვერპლად? ამდენ დასახიჩრებულ და ამდენ დაკარგულ ადამიანად?! ამიტომ ხელისუფლებას არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ უზნეოდ, უტიფრად, მაგრამ გაამართლოს თავისი აგრესიული ქცევა მიტინგების წინააღმდეგ. თუ მიტინგები იქნება მოკლევადიანი, ერთ-ორ საათიანი, წინასწარ ცნობილი იქნება, ხალხი რისთვის იკრიბება და გამოკვეთილი იქნება მხოლოდ ერთი თემა, მაშინ ვერავინ შეუშლის ამას ხელს. ეს გამორიცხულია. გეტყვით იმასაც, რომ ხელისუფლების უგუნური ქცევები მხოლოდ აძლიერებს ოპოზიციას. ასეთ სიტუაციაში უფრო გამობრძმედილი ხდები. ყინვაში რომელი ორგანიზმიც ძლებს, ის ყოველთვის გამობრძმედილია, ვიდრე ის, ვინც ჩვეულებრივ, სასათბურე პირობებში ცხოვრობს. ეს ხომ ასეა. ხელისუფლება ჩვენ გვაიძულებს, უფრო გამობრძმედილი და ყინვაგამძლე ოპოზიცია და საზოგადოება ვიყოთ. ხელისუფლების ასეთი უგუნური ნაბიჯები ამყარებს და, თუ შეიძლება ითქვას, აწრთობს საზოგადოებას ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

*— რაც შეეხება „ახალ მემარჯვენეებსა“ და „ქრისტიან-დემოკრატებს“, რამდენად ითამაშეს მათ ხელისუფლების თამაში?*

— დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებას ეს აწყობდა. იმიტომ გადაიყვანა მერე უკვე რვიანთან დიალოგი ინდივიდუალურ რეჟიმში, რომ ნახა რვიანში ნაპრალი. ეჭვი არ მეპარება, რომ ადრე თუ გვიან „ქრისტიან-დემოკრატები“ ასე მოიქცეოდნენ. ამაში არც ცუდი და არც კარგი არაფერი არ არის. ეს წინასწარ ცნობილი იყო, მაგრამ გული ძალიან მწყდება „ახალ მემარჯვენეებზე“, თუმცა, ბევრი მეგობარი მყავს იქ და ძალიან დიდ პატივს ვცემ მათ. რამდენად გაამართლებს მათი გადაწყვეტილება, ამას ქართველი ხალხი უპასუხებს. მათი ქცევა, თავისთავად, არ არის ტრაგიკული, უბრალოდ, არასასიამოვნოა. საზოგადოებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მათ მოსწონთ თუ არ მოსწონთ ეს პარტიები. რა საჭიროა ამდენი ლანძღვა-გინება. ქართველი საზოგადოების ტრაგედია ის არის, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ იმ პარტიებზე, რომლებიც არ მოგვწონს, როცა დემოკრატიულ საზოგადოებებში ლაპარაკობენ იმ პარტიებზე, რომლებიც მოსწონთ. ბაზარში რომ შედიხარ, თუ არ მოგწონს პროდუქტი, იმას ხომ არ აქცევ ყურადღებას, რომელიც მოგწონს, იქ ჩერდები და იმას აქცევ ყურადღებას. ჩვენთან კი პირიქით ხდება — გამოდიან და ერთმანეთს ლანძღავენ. თუ არ მოგწონს, რაღას იშლი ნერვებს? ჯობია, ამ პარტიებს შორის ამოარჩიო შენთვის პატივსაცემი პარტია და მასთან გამართო დისკუსია საჭიროების შემთხვევაში. ჩვენ უნდა ვისწავლოთ არა პარტიების ლანძღვა და უარყოფა, არამედ ჩვენთვის მისაღები პარტიების გამოკვეთა და მათთან თანამშრომლობა. ამიტომ გადადგეს „ქრისტიან-დემოკრატებმა“ და „ახალმა მემარჯვენეებმა“ ასეთი ნაბიჯი? პირადად მე უკვე აღარ მაინტერესებს და ყურადღებას ვამახვილებ იმ პარტიებზე, რომლებიც მაინტერესებს. ასე ვურჩევ ყველას, გავუფრთხილდეთ ჩვენს ნერვულ სისტემას, ნუ ვიშლით ნერვებს იმ პარტიების გამო, რომლებიც არ მოგვწონს, დავივიწყოთ, გვერდზე გავატაროთ.

*— რაც შეეხება ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ პაკეტს, რას ფიქრობთ ამის შესახებ? ითქვა, რომ იქ ბევრი არაკონსტიტუციური მუხლი და პუნქტი დევს, იმავე რეფერენდუმთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, რამდენად სწორი იქნება დეპუტატთა რიცხვის გაზრდა?*

— ეს ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. ასეთ პატარა სახელმწიფოს არ სჭირდება ამხელა პარლამენტი. მე თუ მკითხავთ, 150-ც არ არის საჭირო და ასამდე დავიყვანდი. ვინც არის პარლამენტში, ან ის რას აკეთებს? ნახეთ, დეპუტატების უმრავლესობა რას აკეთებს. პირადად ჩემთვის 190 მიუღებელია. როდესაც რეფერენდუმი იყო, მე ხმა მივეცი 150-ს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია შემდეგი: შევარდნაძის დროს არ არსებობდა სახელმწიფო, ისე, როგორც დღესაც არ არსებობს. დღევანდელი ხელისუფლება რომ თავს იწონებს, თითქოს მაშინ არ იყო სახელმწიფო და დღეს არისო, სწორედ აქედან ჩანს, რომ ჩვენ ზუსტად ისეთივე სახელმწიფო ვართ, როგორიც — შევარდნაძის დროს, ანუ რა იყო შევარდნაძის დროს? შევარდნაძის დროს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, პოლიტიკური მიზანშეწონილობა დაეყენებინა სამართალზე მაღლა და არც ისე კორექტულად ჩაატარა რეფერენდუმი, რათა ამ ნაბიჯით ხალხის გული მოეგო, ანუ პოლიტიკური მიზანშეწონილობა სახელმწიფო ინტერესებზე და, რაც მთავარია, კანონზე მაღლა დააყენა. ზუსტად ასე იქცევა დღეს სააკაშვილი. პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ის უარყოფს უკვე თუნდაც არასწორად ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებს. უარყოფს დღეს, მაშინ რატომ არ უარყო, როცა უარყო პროპორციული სისტემით გასული დეპუტატების ბედი და უარყო ეს შედეგები. სამი ბიულეტენიდან მხოლოდ პროპორციული რომ ჩათვალა გაყალბებულად და მაჟორიტარული ბიულეტენი და რეფერენდუმი დატოვა მისაღებად, დღეს ისევ იმ ყუთში ჩაძვრა და აცხადებს, არასწორი იყო რეფერენდუმის შედეგებიო. ჩვენ ისეთივე შეუმდგარი სახელმწიფო ვართ დღეს, როგორიც ვიყავით შევარდნაძის დროს. ახალი არაფერია. აი, ეს არის ჩვენი ტრაგედია. კანონში რეფერენდუმის შესახებ პირდაპირ წერია, რომ რეფერენდუმის შედეგების შეცვლა შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმის გზით, სხვა არაფრით, ანუ, თუ ვინმეს უნდა, შეცვალოს ეს შედეგები, რეფერენდუმი უნდა ჩაატაროს.

*— რამდენად წავა ხელისუფლება რეფერენდუმზე?*

— რა თქმა უნდა, არ წავა, მოიქცევა ისე, როგორც მოიქცა შევარდნაძე — ფეხებზე დაიკიდებს სახელმწიფოს. დღეს ჩვენთან სახელმწიფო არც არსებობს. სახელმწიფო რომ არსებობდეს, ხალხი ისეთ პასუხს გასცემდა მას, რომ ვერც კი გაბედავდა ამაზე ფიქრს, არათუ ლაპარაკს. ხალხი რომ ხმას არ იღებს, ამიტომაა, რომ სააკაშვილი ასე უტიფრად იქცევა. ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ სახელმწიფო.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ გაზრდის დეპუტატთა რიცხვს?*

— რა თქმა უნდა, პარლამენტში შეიტანს და პარლამენტი შეცვლის ამ გადაწყვეტილებას.

*— რაც შეეხება ექვსიანს, ამ პირობებში რამდენად ექნება მას არჩევნებში წარმატების შანსი?*

— რა თქმა უნდა, აქვს, საზოგადოების დიდი ნაწილი მიხვდა, რომ ექვსიანი საკმაოდ პრინციპული პარტიების გაერთიანებაა და მათთვის მნიშვნელოვანია ეს. საზოგადოებაში ამ ტიპის პარტიებზე მოთხოვნილება არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ თუ ჩვენ ვერ შევძელით გარემოს შეცვლა, მაინც საჭიროა ხალხის არჩევნებზე წასვლა. გარემოს შეცვლა გვინდა იმისთვის, რომ უკეთესი პირობები იყოს. ძალიან ცუდი მაგალითია, მაგრამ, ადამიანს თუ დასაძინებელი არა აქვს, სადღაც ხომ მაინც იძინებს? თუ საშუალება და კარგი პირობები აქვს, შეიძლება, წავიდეს და 5-ვარსკვლავიან სასტუმროში დაიძინოს. საარჩევნო გარემოც ამას ჰგავს, რომ ხალხს უნდა შევუქმნათ უკეთესი პირობები არჩევნებში მონაწილეობისათვის, მაგრამ, თუ უკეთესი პირობები არ არის, იმაში უნდა მივიღოთ მონაწილეობა, რაც არის. საარჩევნო გარემო, ჯობია, უკეთესი იყოს, მაგრამ, თუ არ უმჯობესდება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არჩევნებზე არ უნდა წავიდეთ. არჩევნებზე მაინც უნდა წავიდეთ, მაგრამ უფრო მობილიზებულები და პრინციპულები უნდა ვიყოთ, უფრო მეტად მიუღებელი უნდა იყოს შენთვის ხელისუფლება, რომელიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზეც კი არ წამოვიდა.

## ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული ძეგლების დაცვა კანონით იქნება გარანტირებული

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული და მე-19 საუკუნეში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისას დაზიანებული თუ გადაკეთებული ქართული ძეგლების დაცვა კანონით იქნება გარანტირებული.

ეს განცხადება პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა გააკეთა. მისი თქმით, სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტში შესაბამისი ნორმის ფორმულირება დღესვე მოხდება და მასში მესამე მოსმენით განხილვამდე და კენჭისყრამდე აისახება. მისი ინფორმაციით, მოფიქრებული იქნება ფორმულირება, რომლითაც სხვა ქვეყნებში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის უფლებები იქნება დაცული. სამოქალაქო კოდექსში შესატან ცვლილებებზე საბოლოო კონსულტაციებს დეპუტატები დღესვე მართავენ.

**მედიანიუსი**

## ერაყში აფეთქებების შედეგად 27 ადამიანი დაიღუპა

ერაყის ქალაქ ტაჯიში მომხდარი ორი აფეთქების შედეგად 27 ადამიანი დაიღუპა და 50 დაიჭრა. აღნიშნულის შესახებ „ბი-ბი-სი“ იუწყება. ერთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობასთან მდგარ ავტომობილში იყო მოთავსებული. ქალაქ ტაჯიშის მერის რაად ალტამიმიის განცხადებით, აფეთქების დროს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ხალხმრავლობა იყო. ის ფიქრობს, რომ აფეთქების დრო სპეციალურად განისაზღვრა, რათა რაც შეიძლება მეტი ხალხი დაშავებულიყო.

— ჯერ მანქანა აფეთქდა, შემდეგ კიდევ რაღაც: შესაძლოა ეს ტერორისტი- თვითმკვლელი ყოფილიყო, ან კიდევ ერთი დამონტაჟებული ბომბი, — აღნიშნა ქალაქის მერმა.

ქალაქი ტაჯი ბაღდადიდან ჩრდილოეთით, 20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ოფიციალური მონაცემებით, ივნისის თვეში, ერაყში აფეთქების შედეგად 271 ადამიანი დაიღუპა.

**მედიანიუსი**

## პირადი მონაცემების გაყალბებისთვის ამნისტია გამოცხადდა

მოქალაქეებისათვის, რომელთაც სხავადასხვა დროს გააყალბეს მათი პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემები (პასპორტი, პირადობის მოწმობა და სხვა) ამნისტია გამოცხადდა.

როგორც გუშინ რუსთავის იუსტიციის სახლში გამართულ ბრიფინგზე იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურის უფროსმა ლევან დარბაიძემ განაცხადა, ძალაში შევიდა ამნისტიის შესახებ„ საქართველოს კანონი, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან ათავისუფლებს პირებს, რომლებიც 2012 წლის 31 დეკემბრამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში განაცხადებენ მათ მიერ დოკუმენტების გაყალბების თაობაზე. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339 ე მუხლით, 362 ე მუხლით ან 363 ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შესახებ).კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც გარკვეული კატეგორიის დანაშაულები (დაბადების თარიღის გადაკეთება, სახელის, გვარის თვითნებურად შეცვლა, პასპორტის ვადის გაგრძელების შტამპის გაყალბება და სხვა) ჩაიდინეს 2007 წლის 1 იანვრამდე, აგრეთვე პირებზე, რომლებმაც აღნიშნული დანაშაულების 2007 წლის 1 იანვრამდე ჩადენის საფუძველზე გაყალბებული საიდენტიფიკაციო მონაცემებით გაცემული დოკუმენტები გამოიყენეს ამ კანონის ამოქმედებამდე, თუ ამ დანაშაულებთან დაკავშირებით არ არის დაწყებული გამოძიება.გარდა ამისა, ამნისტიის მოთხოვნით განცხადების წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს ინტერნეტის საშუალებით. ამ შემთხვევაში მოქალაქე უნდა დაუკავშირდეს დისტანციური მომსახურების სამსახურს.

**პრაიმ-ნიუსი**

## „თავისუფალმა საქართველომ“ ლეიბორისტული პარტიის ინიციატივას ხელი მოაწერა

„თავისუფალი საქართველო“ უერთდება ლეიბორისტული პარტიის ინიციატივას მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტთან დაკავშირებით.

პარტიის ინფორმაციით, ამ ინიციატივას უკვე 22 პოლიტიკური გაერთიანება იზიარებს.

— საქართველოს პოლიტიკური პარტიები პრეზიდენტ სააკაშვილს ვუცხადებთ ეროვნულ-პოლიტიკურ იმპიჩმენტს და მოვითხოვთ მის გადადგომას პრეზიდენტის პოსტიდან, რადგან მან არაერთხელ ჩაიდინა უმძიმესი დანაშაულობანი, გათელა კონსტიტუცია, ხელისუფლება მრავალჯერ მოიპოვა ძალადობით და მასობრივი გაყალბებით, მოსპო დემოკრატიის საფუძვლები, დაამყარა ერთპარტიული დიქტატორული რეჟიმი, შექმნა რეპრესიული სისტემა, პოლიტიკური პოლიციით გააუქმა ბიზნესის, მასმედიის, სასამართლოს დამოუკიდებლობა, განახორციელა ადამიანთა მასობრივი დევნა, დაპატიმრება, წამება, მკვლელობა პოლიტიკურ მოტივებით, უსასტიკესად არბევს მშვიდობიან დემონსტრაციებს, ჩაება წინასწარ წაგებულ ომში და დაშალა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სახელმწიფოს მთელი სტრატეგიული სიმდიდრეები, გაყიდა ან ხელში ჩაუგდო საკუთარ საოჯახო-პარტიულ ოლიგარქებს, გაალატაკა და სოციალური გენოციდი მოუწყო ხალხს.

ჩვენ მოვუწოდებთ საერთაშორისო დემოკრატიულ სამყაროს დიქტატორისა და მის თანამზრახველთა მიმართ გამოიყენოს დადგენილი უმკაცრესი სანქციები“, — ნათქვამია პარტიათა განცხადებაში, რომელიც „თავისუფალის საქართველოს“ ვებ-გვერდზეა. **მედიანიუსი**

# ხელისუფლებამ ეკლესიაზე ახალი შეტევა დაიწყო

## რატომ არ ითვალისწინებს ხელისუფლება პატრიარქის წინადადებას

თეა მარხვაი ე

**ოპოზიციის ნაწილი ხელისუფლებას ანტიეკლესიური კამპანიის წარმოებას სდებს ბრალად. ამ ბრალდების საფუძველი ამჯერად პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი გახდა, რომლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩაითვლებიან რელიგიური გაერთიანებები, რომლებსაც გააჩნიათ მჭიდრო ისტორიული კავშირი საქართველოსთან. კერძოდ, რომაული კათოლიკური ეკლესია, სომხური სამოციქულო წმინდა ეკლესია, მუსლიმანთა თემი, იუდეველთა თემი და საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია.**

ამ კანონპროექტის ინიციატორები არიან დეპუტატები ლაშა თორდია, ჩიორა თაქთაქიშვილი და ნუგზარ წიკლაური.

ნაციონალების ინიცირებულ კანონპროექტს სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა. აღნიშნული კანონპროექტი პირველმა ჯონდო ბაღათურიამ გააპროტესტა. ბაღათურიამ თავი ჯერ კიდევ გასულ კვირაში გაინერვიულა. გუშინ კი ოპოზიციონერებმა პროტესტი ერთმანეთის მიყოლებით გამოთქვეს.

ოპოზიციის აღშფოთებას წინ საქართველოს პატრიარქის განცხადება უძღოდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მიაჩნია, რომ აუცილებელია შეჩერდეს საქართველოში რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების პროცედურა.

— მიგვაჩნია, რომ აუცილებელია შეჩერდეს კანონის მიღების პროცედურა — მეორე და მესამე მოსმენა და აღნიშნულ საკითხზე გაიმართოს საჯარო დებატები, თუნდაც ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, რათა ჩამოყალიბდეს საერთო საზოგადოებრივი აზრი და მოხდეს კონსენსუსი მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რადგან ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. ჩვენს მოქალაქეებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ეს საკითხი არის უმნიშვნელოვანესი, რადგან იგი არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს. ეკლესიისა და მთლიანად ხალხისთვის სრულიად მოულოდნელად, საქართველოს პარლამენტმა პირველ ივლისს პირველი მოსმენით მიიღო კანონი რამდენიმე რელიგიური ორგანიზაციისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და კონსტიტუციური შეთანხმება წლების განმავლობაში იყო ფართო განხილვის საგანი და მას საერთაშორისო ექსპერტიზაც ჩაუტარდა. თავის მხრივ ეკლესია არასოდეს წასულა წინააღმდეგი და ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოში არსებული სხვა რელიგიებისადმი სტატუსის მინიჭებას და მათი უფლებების განხორციელებას, მაგრამ ამ პროცესს სათანადო გაგრძელება არ მოჰყოლია, ანუ ხელისუფლების მხრიდან არ შექმნილა მრავალმხრივი სახელმწიფო კომისია, სადაც საკითხი იქნებოდა შესწავლილი და შეჯერებული, — ნათქვამია ჩვენი პატრიარქის განცხადებაში.

პატრიარქი თავის განცხადებაში იმასაც აღნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებში არც ქართული მართლმადიდებლური ტაძრების საკუთრების და მოვლა-პატრონობის საკითხი არ დასმულა დღემდე და არც ქართული ეკლესიის სტატუსის განხილვა დაწყებულა.



ნაციონალების ინიცირებული კანონპროექტი საპარლამენტო ოპოზიციამაც დაიწუნა. პატრიარქის განცხადების შემდეგ კი არასაპარლამენტო ოპოზიციაც გააქტიურდა. ყველაზე მწვავე შეფასება ეკა ბესელიამ და კახა კუკავამ გააკეთეს.

კახა კუკავა და ეკა ბესელია ხელისუფლებას ანტიეკლესიური პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებენ.

მათ გუშინ საგანგებო განცხადება გააკეთეს, სადაც მხარი დაუჭირეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

— მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, შეჩერდეს საქართველოში რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების პროცედურა საქართველოს საპატრიაქროს გვერდის ავლით. საქართველოს საპატრიარქო ყოველთვის უჭერდა მხარს საქართველოში არსებული სხვა რელიგიებისადმი სტატუსის მინიჭებას და მათი უფლებების განხორციელებას, მაგრამ ამ პროცესის სათანადო გაგრძელებისთვის აუცილებელი იყო ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო კომისიის შექმნა, სადაც საკითხი იქნებოდა შესწავლილი და საპატრიარქოსთან შეთანხმებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ასეთი გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე, როდესაც ანალოგიური სტატუსი სხვა სახელმწიფოებში მიენიჭება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, — აცხადებენ ბესელია და კუკავა.

მათი შეფასებით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სხვა ქვეყნების დაკვეთით ხელისუფლება იღებს ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს.

კანონპროექტთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი პოზიცია ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამაც დააფიქსირა. პარტიის სახელით განცხადება ბაჩუკი ქარდავამ გააკეთა.

— ნებისმიერი საკანონმდებლო გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდება ქართულ სახელმწიფოში სხვადასხვა კონფესიების ფუნქციონირების ფორმასა თუ სხვა სამართლებრივ საკითხებს, აუცილებელია, პირველ რიგში, იხილებოდეს საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ფორმატში და მხოლოდ ასეთი შეთანხმების საფუძველზე ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება საკანონმდებლო დონეზე, — ნათქვამია განცხადებაში.

მისი განცხადებით, სხვა რელიგიებისადმი გარკვეული სტატუსის მინიჭება არ წარმოადგენს პრობლემას, თუმცა მნიშვნელოვანია, მოხდეს საკითხის შესწავლა და შეჯერება საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან.

— ამდენად მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინოს მისი უწმინდესობის მიმართვა და ნებისმიერი თემა, რომელიც ეხება საქართველოში არსებულ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების ქონებრივ თუ სამართლებრივ საკითხებს, გადაწყდეს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის შეთანხმების საფუძველზე, — აცხადებს ბაჩუკი ქარდავა.

საქართველოს პატრიარქის მოწოდებას შეუერთდნენ მრეწველებიც. მათი სახელით განცხადება ზურაბ ტყემალაძემ გააკეთა.

— გაუმართლებლად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ საზოგადოებისა და ეკლესიისათვის სრულიად მოულოდნელად, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი რამდენიმე რელიგიური ორგანიზაციისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ. თემის აქტუალობისა და დელიკატურობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აუცილებელია შეჩერდეს კანონპროექტის განხილვა და დაიწყოს ფართო საზოგადოებრივი დისკუსია კანონპროექტთან დაკავშირებით. ამ დისკუსიაში მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, პოლიტიკურმა წრეებმა და საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა, საქართველოს მოქალაქეებმა მიუხედავად მათი ეროვნული და რელიგიური კუთვნილებისა, — განაცხადა ტყემალაძემ.

თავიანთი აღშფოთება და შეშფოთება სხვა პარტიებმაც დააფიქსირეს. ამ საკითხის მიმართებაში ოპოზიციამ შესაშური ერთიანობა გამოიჩინა. საინტერესო ის არის, პატრიარქს რომ არ გაეკეთებინა განცხადება, როდემდე იქნებოდნენ ჩუმად.

ეს საკითხი საქართველოს პარლამენტმა პირველ ივლისს განიხილა. მაშინ ხმამაღალი პროტესტი მხოლოდ ჯონდი ბაღათურიამ გამოთქვა.

გუშინ პროტესტს უკვე ბევრი გამოხატავდა. თუმცა არაფერი გამოვიდა. ნაციონალებმა თქვეს, მიზეზს ვერ ვხედავთ იმისას, რომ განხილვა გადავდოთ.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის
აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ბუნტია

თეა მარხვაი ე

**რუსეთის სამხედრო უწყებაში ყველაფერი რიგზე არაა. თავდაცვის მინისტრ ანატოლი სერდიუკოვს რუსი გენერლები რამდენჯერმე აუმხედრდნენ. ამ დაპირისპირების გამო მინისტრის გასულ წელს კინაღამ თანამდებობაც დაატოვებინეს. მაშინ მან თანამდებობა შეინარჩუნა. როგორც ჩანს, მის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარება შეძლო. გენერლებიც გაჩუმდნენ, თუმცა — მხოლოდ დროებით. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ისევ აღელდა, ოღონდ ამჯერად, როგორც ამბობენ, გენერალიტეტი გენშტაბის უფროს ნიკოლაი მაკაროვს დაუპირისპირდა.**

როგორც რუსული მედია იუწყება, მათი სამხედრო უწყება დიდი სკანდალის წინაშე დგას. „ნეზავისიმაია გაზეტას“ ცნობით, ერთდროულად რამდენიმე გენერალმა დაწერა განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

გენშტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა ანატოლი ტრეტიაკმა, სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა სერგეი სკოკოვმა; გენერალ-მაიორმა ოლეგ ივანოვმა და სხვებმა ერთდროულად შეუტანეს განაცხადებები ანატოლი სერდიუკოვს.

რუსული გამოცემების ცნობით, დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ თანამდებობიდან ახალგაზრდა და პერსპექტიული გენერლები წავიდნენ. ყველა მათგანის ასაკი 50 წლამდეა.

ამასთან, როგორც ამბობენ, მათ კარგი სამხედრო მომზადება აქვთ გავლილი და თავისი საქმე შესანიშნავად იციან.

ისინი სპეციალურ რეზერვში ირიცხებოდნენ და სამხედრო სამსახურში დარჩენა მინიმუმ ათი წელი კიდევ შეეძლოთ. შეეძლოთ, მაგრამ მათ წასვლა გადაწყვიტეს.

თანამდებობიდან წასვლის მიზეზებზე გენერლები არ საუბრობენ. მიზეზებს არც რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ახმაურებს. არადა, ეს სახუმარო ამბავი არ არის. ამ გენერლებმა ის თანამდებობები მიატოვეს, რომლებიც თავდაცვის სამინისტროში საკვანძოდ ითვლება.

თავდაპირველი ვერსიით, გენერლები ანატოლი სერდიუკოვს აუმხედრდნენ. ბოლო პერიოდში გენერალიტეტმა მინისტრის მიმართ ბევრჯერ გამოავლინა უკმაყოფილება. თუმცა ინფორმირებულმა წყარომ რუსულ მედიას ამცნო, რომ გენერლები ამჯერად ნიკოლაი მაკაროვს დაუპირისპირდნენ. ეს დაპირისპირება კი იმ რეფორმას უკავშირდება, რომელიც რუსეთის სამხედრო უწყებაში ტარდება.

ვნახოთ, რა რეაგირებას მოახდენს ამ ბუნტზე რუსეთის ხელისუფლება. გასულ წელს მედესანტეების ბუნტს მედვედევმა და პუტინმა დიდი ყურადღება დაუთმეს და როგორც რუსული მედია წერდა, სერდიუკოვმა სწორედ პრემიერის კატეგორიული მოთხოვნით მოაგვარა მედესანტეებთან ურთიერთობა.

ყველაფერი კი რიაზანის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო სასწავლებლის ტერიტორიაზე მოხდა. იქ მინისტრი გასული წლის სექტემბერში სტუმრობდა. სერდიუკოვმა სასწავლებლის ტერიტორიაზე ეკლესია აღმოაჩინა, რომელიც მედესანტეების შემოწირულობებით იყო აშენებული.

სერდიუკმა მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ მომხდარიყო ეკლესიის დემონტაჟი. სასწავლების ტერიტორიაზე ეკლესიის აშენების გამო მინისტრს რამდენიმე ცნობილი გენერალი შემოელანძღა. რუსი სამხედროების ლექსიკა საყოველთაოდ არის ცნობილი და ალბათ წარმოგიდგენიათ, რა ფორმებში მოიხსენიებდა სერდიუკოვი თავისი ხელქვეითების დედებს.

მედესანტეებმა მინისტრს ეს გინება არ აპატიეს და არც ეკლესიის გადატანას დათანხმდნენ. საქმეში რუსეთის საპატრიარქოც ჩაერია. ამის გამო სერდიუკოვს უკან დახევა მოუწია.

ინციდენტიდან ცოტა ხანში გაკეთდა განცხადება, რომ ეკლესიას არავინ შეეხებოდა. კრემლმა აღშფოთებული მედესანტეების დაწყნარებაც შეძლო. როგორც რუსული პრესა წერდა, თავდაცვის მინისტრი პრეზიდენტის გარდა პრემიერმაც დაიბარა. განსაკუთრებით მძიმე საუბარი სერდიუკოვს ვლადიმერ პუტინთან ჰქონდა.




რუსული მედიის თანახმად, პუტინმა სერდიუკოვს პრობლემების მოსაგვარებლად კონკრეტული დრო მისცა. მინისტრს მის უწყებაში არსებული დაპირისპირება გასული წლის 1 დეკემბრამდე უნდა მოეგვარებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას თანამდებობის დატოვება მოუწევდა.

სერდიუკოვი ისევ თავის პოსტზეა, ეტყობა, დათქმულ ვადებში არსებული პრობლემები მოაგვარა. თუმცა არა სამუდამოდ. თავდაცვის სამინისტროში ახალი დაპირისპირება დაიწყო. ის ახლა ნიკოლაი მაკაროვის სახელს უკავშირდება.

ეს უკანასკნელი სამხედრო საქმის კარგი მცოდნეა და სერიოზული სკოლაც აქვს გავლილი. გენერალური შტაბის უფროსად მაკაროვი აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე დაინიშნა. ეს პოსტი მან 2008 წლის 3 ივნისს დაიკავა.

1967-1971 წლებში სწავლობდა მოსკოვის უმაღლეს სამეთაურო სკოლაში, რომელიც ოქროს მედალზე დაამთავრა. ოქროს მედალზე დაამთავრა მან ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაც. ოქროს მედალი გადაეცა გენშტაბის აკადემიის დასრულების შემდეგაც. სადაც ის 1991-1993 წლებში სწავლობდა.

სწავლის პარალელურად ის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა და საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვა. გენერალი მაკაროვი 61 წლის გახლავთ.

მისგან განსხვავებით, დიდი სამხედრო განათლებით არ გამოირჩევა ანატოლი სერდიუკოვი. ის თავდაცვის სამინისტროში სრულიად სხვა სტრუქტურიდან მივიდა. თავდაცვის სამინისტრო მას პუტინმა 2007 წლის 15 თებერვალს ჩააბარა. მანამდე სერდიუკოვი რუსეთის საგადასახადო ინსპექციის შეფი იყო. ეს თანამდებობა მან 2004 წელს დაიკავა.

თუ გავითვალისწინებთ მის წარსულს, გასაკვირი არაა, რუსმა გენერლებმა ის დღემდე რომ არ აღიარეს.

სერდიუკოვის თავდაცვის მინისტრად დანიშვნას საქართველოშიც დიდი ჟრიამული მოჰყვა. ჩვენმა ნაციონალებმა თქვეს, რომ პუტინი სააკაშვილს ბაძავდა. საქმე ის გახლავთ, რომ ცოტა ხნით ადრე თავდაცვის მინისტრად სააკაშვილმაც თითქმის სერდიუკოვის კოლეგა დანიშნა. საუბარია დავით კეზერაშვილზე.

თავდაცვის მინისტრად მიხეილ სააკაშვილმა ის 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისში დანიშნა. მანამდე კეზერაშვილს ფინანსური პოლიციის შეფის პოსტი ეკავა. და როგორც ოპოზიცია ამბობს, ნაციონალების ყულაბის ერთ-ერთი მთავარი შემვსებელი იყო.

კეზერაშვილი ახლა უმუშევარი გახლავთ. თუმცა დღემდე დიდ გავლენას ინარჩუნებს და ნაციონალურ ყულაბას დღემდე ავსებს.

რაც შეეხება სერდიუკოვს, ის ჯერჯერობით ინარჩუნებს თავის თანამდებობას.

# ჩვენ ხელისუფლების სასწრაფოდ შეცვლა გვჭირდება

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, თქვენ რამდენიმე დღის წინ ვიზიტით რუსეთში იმყოფებოდით. ძირითადად რას უკავშირდებოდა ეს ვიზიტი, ვის შეხვდით და რა საკითხები განიხილეთ?***

— ვიზიტი, როგორც ყოველთვის, შეეხებოდა რუსულ-ქართული ურთიერთობების მოწესრიგების თემატიკას. თქვენ იცით, რომ ჩვენი პარტია არის მოლაპარაკების გზით, ამ ურთიერთობების მოწესრიგების, ასე ვთქვათ, აქტიური მომხრე და ეს ვიზიტიც იყო ერთ-ერთი შედეგი. ჩვენ, ტრადიციულად, ვმართავთ შეხვედრებს ქართული კონგრესის ხელმძღვანელთან, ბატონ ებრალიძესთან და ასევე ხომერიკთან, რუსეთის დუმის საკვანძო კომიტეტების ხელმძღვანელებთან — კოსაჩოვთან, ფიოდოროვთან და აგრეთვე ოპოზიციური ფრაქციების ხელმძღვანელებთან. ამ ჯერზე სიახლე იყო ის, რომ ჩვენ შევხვდით ალმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს, კონკრეტულად რუსეთის მთავარ სანიტარიულ ექიმს, ბატონ ონიშჩენკოს, რომელიც, თქვენ იცით, რომ პირდაპირ უკავშირდება ქართული ექსპორტის თემატიკას. შეხვედრა იყო ძალიან წარმატებული. პირველ რიგში, თვითონ შეხვედრის ატმოსფერო იყო ძალიან კონსტრუქციული და პოზიტიური. ეს შეხვედრა საათზე მეტ ხანს მიმდინარეობდა და ბატონმა ონიშჩენკომ არაერთხელ ამ შეხვედრის მანძილზე საგანგებოდ ხაზი გაუსვა თავის პატივისცემას ქართული სახელმწიფოს მიმართ და ქართული ექსპორტის აღდგენის მნიშვნელობას. კულტურულ-ისტორიულ კავშირებზეც არაერთხელ იყო გაკეთებული აქცენტი და თავისთავად ტონალობა იყო ძალიან დადებითი, რომელიც არა მარტო ჩვენთან შეხვედრის დროს, არამედ შეხვედრის შემდგომ გაკეთებულ კომენტარებშიც ნათლად იგრძნობა.

***— რაც შეეხება ექსპორტის აღდგენის საკითხს?..***

— რაც შეეხება უშუალოდ ამ თემატიკას, არ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ საერთოდ საკითხი, რომ ეს ექსპორტი უნდა აღდგეს, თუმცა, არსებობს გარკვეული სამართლებრივი და ტექნიკური წინაპირობები. სამართლებრივი გულისხმობს იმას, რომ, ბუნებრივია, ყველა ექსპორტი, საქართველოდან იქნება თუ სხვა ქვეყნიდან, უნდა განხორციელდეს რუსეთის კანონმდებლობასთან შესაბამისობით, ხოლო რაც შეეხება ტექნიკურ პროცედურებს, ეს გულისხმობს იმას, რომ უნდა მოინახოს ადეკვატური და ურთიერთშეთანხმებული მექანიზმები, თუ როგორ უნდა გაიაროს ექსპერტიზა ქართულმა პროდუქციამ იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ის დადგენილ სტანდარტებს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შევთანხმდით, რომ მოეწყობა სპეციალური შეხვედრა ქართველი მეწარმეების და ამ დარგის ექსპერტების მონაწილეობით და კონკრეტულად ამ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, მაგალითად, თქვენ იცით, რომ ბორჯომის შემადგენლობასთან დაკავშირებით იყო პრეტენზიები რუსული მხრიდან თავის დროზე. ასევე ქართული მხრიდან თავის დროზე გაცემული იყო პასუხები, რომ ეს გამოწვეულია არა იმითი, რომ რუსული მხარე ვარაუდობდა, რომ ეს ბორჯომი ისხმებოდა რუსეთის ტერიტორიაზე. ქართული მხარის პოზიციები მდგომარეობდა იმაში, რომ ტრანსპორტირების დროს იყო გამოწვეული ეს ნივთიერებათა ცვლილებები. ამიტომ არის შესათანხმებელი უკვე კონკრეტული ფორმა ექსპერტიზისა, თუ რა სტანდარტი არსებობს და როგორ უნდა მოხდეს ამ სტანდარტთან შესაბამისობის დადასტურება. იგივე შემიძლია გითხრათ ალკოჰოლურ პროდუქციასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი თავისთავად ნიშნავს იმას, რომ საკითხი მეორე მოსმენის ეტაპზე გადადის, არსებითად, კითხვის ნიშნები არ დგას იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპორტი უნდა განახლდეს თუ არა და, მე ვფიქრობ, ეს არის ძალიან დიდი წარმატება, პირველ რიგში, ქართველი გლეხის, ქართველი მეწარმის, ქართული სოფლის, ქართული ბიზნესის, იმიტომ რომ, რამდენიც არ უნდა აგვირიონ თავგზა სამთავრობო არხებმა სხვადასხვა პროპაგანდითა და ციფრებით, რუსულ ბაზაარს ქართული ეკონომიკისათვის ალტერნატივა არა აქვს. საბჭოთა კავშირი 20 წელიწადზე მეტია დაინგრა და ჩვენ ვნახეთ ბევრი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქართველოში ახორციელებენ იმპორტს, მაგრამ არც ერთი პარტნიორი ქვეყანა, რომელიც საქართველოდან ახორციელებს ექსპორტს, საქართველოს არა ჰყავს. რუსული ბაზარი არის უალტერნატივო, ამიტომ რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნება ნიშნავს იმას, რომ საქართველოში შეიქმნება სამუშაო ადგილები. როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის დროს ჩვენ სხვადასხვა ჟურნალსა თუ გამოცემაში გავდივართ პირველ ადგილზე, როგორც მსოფლიოში ნომერ პირველი რეფორმატორი, როგორც ბიზნესის კეთებით ერთ-ერთი წარმატებული და ასე შემდეგ, მაგრამ ეს დაკავებული ადგილები



ქართველ გლეხსა და მეწარმეს არანაირ შეღავათს არ აძლევს, ხოლო ეს შეთანხმება, რომელიც კონკრეტულად იქნა ახლა მიღწეული ბატონ ონიშჩენკოსთან შეხვედრის დროს, შეიძლება, ნაკლებად პომპეზურია, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლები მნიშვნელობა ექნება ამას ქართველი გლეხებისა და მეწარმეებისათვის.

***— ბატონო კახა, რამდენად შედეგიანი იქნება ეს ყველაფერი, რაზეც თქვენ საუბრობთ ამ მწვავე ურთიერთობის ფონზე?***

— მიუხედავად იმისა, რომ მწვავე ურთიერთობები არის, ფაქტია, რომ ეს შეხვედრა შედგა და ეს შეთანხმება მიღწეულ იქნა. საერთოდ, ამ მწვავე ურთიერთობების ფონზე იქნა ზუსტად ამ ყველაფრის საჭიროება დანახული, რადგან, მე ვფიქრობ, რომ ორივე მხარემ გააცნობიერა, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები ორმხრივად ხელსაყრელია, იმიტომ რომ ცხელი თავები მოსკოვშიც არსებობს და თბილისშიც. შეიძლება, ვიღაცას მოსკოვში ეგონა, რომ რუსეთის გარეშე საქართველო დაიღუპება და მუხლებზე დაიჩოქებს, თავის ღირსებაზე უარს იტყვის, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მიმართულებით პროცესები არ განვითარდა. მეორე მხრივ, ცხელი თავები, რომლებიც თბილისში არსებობენ, შეიძლება, მათ წარმოედგინათ ახლა, რომ ნატოს ჯარები შემოვლენ საქართველოში, გავანადგურებდით რუსულ სახელმწიფოს და განვითარების სხვა მოდელს მოვნახავდით. ეს არის შეუძლებელი და, მე ვფიქრობ, დღეს ამას როგორც მოსკოვში, ისე თბილისში ფართო საზოგადოება ძალიან კარგად აცნობიერებს. თუ რუსეთს სჭირდება კავკასიაში სტაბილურობა, ეს შეუძლებელია საქართველოსთან თანამშრომლობის გარეშე, ხოლო თუ საქართველოს სჭირდება საერთოდ, შედგეს, როგორც სახელმწიფო და დაძლიოს სიღატაკე, აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა, ეს შეუძლებელია რუსეთთან თანამშრომლობის გარეშე. ამიტომ, არ ვიცი, როგორ მოიქცევიან რუსეთში და საქართველოში ცხელი თავები და რამდენად შეცვლიან ისინი თავიანთ პოზიციებს, მაგრამ პატრიოტებს როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, მე ვფიქრობ, ძალიან კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ჩვენი ერები და ჩვენი სახელმწიფოები არიან განწირულნი ერთმანეთთან თანამშრომლობისათვის.

***— ამ ურთიერთობების აღდგენაზე, იგივე კონფლიქტურ ტერიტორიებთან დაკავშირებით თუ გქონდათ საუბარი?***

— რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეკონომიკა არის ნომერ მეორე პრიორიტეტი, ხოლო ნომერ პირველი პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, სწორედ კონფლიქტებთან დაკავშირებული თემატიკაა. ეს საკითხები იყო განხილული, თუმცა, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ვიდრე ეს გახდება საჯარო პროცესი, დაველოდოთ აფხაზეთში ხელისუფლების გადაცემის პროცესის დასრულებას. ეს მოხდება ამ წლის აგვისტოში და ამის შემდეგ ჩვენ ვაპირებთ, გავაჟღეროთ ჩვენი ინიციატივები. გეტყვით, რომ იმაზე ნაკლები არ იქნება შედეგები კონფლიქტების მიმართულებით, რაც ჩვენ გვაქვს ექსპორტის მიმართულებით და ასევე ეს შედეგებიც იქნება სოლიდური.

***— ბატონო კახა, მოდით, ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებიც შევაფასოთ. თქვენთვისაც ცნობილია, რომ რვიანი დაიშალა, ორმა სუბიექტმა დატოვა შემადგენლობა, დარჩენილი ექვსიანი კი აცხადებს, რომ ისინი საკმაოდ აქტიურები იქნებიან, შესაძლოა, ერთ ბლოკად ჩამოყალიბდნენ და ითანამშრომლონ დანარჩენ ოპოზიციასთანაც.***

— რაც შეეხება ექვსიანს, რვიანს, ორიანს და ასე შემდეგ, სიმართლე რომ გითხრათ, არსებით სხვაობას ამ ჯგუფში ვერ ვხედავ. ეს არის ზოგადად ფლანგი პოლიტიკური პარტიებისა, რომლებიც იბრძვიან არა ხელისუფლების შეცვლისათვის, არამედ პარლამენტში მანდატის მოპოვებისათვის. სრულიად აშკარაა, რომ იქ არავინ აპირებს არც რევოლუციის მოწყობას, არც მასობრივი აქციების დაწყებას და არც სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლას. იქ ამოცანა მდგომარეობს რაღაცა ცალკეული კოდექსის მუხლების შეცვლაში, რომლის შედეგადაც ეს პარტიები მიიღებენ ცოტა მეტ მანდატს, ცოტა მეტ დაფინანსებას და, საბოლოო ჯამში, გაიუმჯობესებენ მდგომარეობას. რა თქმა უნდა, ეს არანაირად ზეგავლენას არ მოახდენს მთლიანად პარლამენტში ძალთა ბალანსზე. ამიტომ, მართალი რომ გითხრათ, მათ აქტიურობას თვალს არ ვადევნებ. ეს არ არის ჩვენთვის საინტერესო პროექტი და მიმართულება. მე ვფიქრობ, რომ იმ პარტიებმა, რომლებიც იმართებიან არა ამერიკის საელჩოდან, არამედ მითითებებს იღებენ ქართველი ხალხისაგან, ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ძალთა კოორდინაცია და ხელისუფლების შეცვლის ალტერნატიული კონცეფციის წარდგენა ქართველი საზოგადოებისათვის.

***— რა არის ეს ალტერნატივა, რაში ხედავთ გამოსავალს?***

— იცით, რომ ჩვენი პარტია აგროვებს თავისუფალი არჩევნებისა და საარჩევნო კოდექსის რეფორმის მოთხოვნით 30 ათას ხელმოწერას. ეს პროცესი დაწყებულია და გაგრძელდება ივლისის ბოლომდე. 30 ათასზე ბევრად მეტი ხელმოწერა შეგროვდება. ჩვენ პირდაპირ მივმართავთ პარლამენტს ყოველგვარი კულუარული მოლაპარაკებების გარეშე ამ საკანონმდებლო პაკეტით, ხოლო შემდგომ, ვინაიდან ამ პაკეტის განხილვა ემთხვევა შემოდგომის პერიოდს, შემოდგომისათვის ასევე ვფიქრობთ, რომ უნდა დავგეგმოთ საკმაოდ მწვავე პოლიტიკური პროცესი ჩვენს პარტნიორებთან ერთად.

***— არჩევნებს რაც შეეხება, ახლოვდება 2012 წლის არჩევნები და მასში რამდენად მიიღებთ მონაწილეობას?***

— აუცილებლად მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას, ოღონდ, კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ არჩევნებამდე გადასაწყვეტია პოლიტიკური გარემოს შეცვლის საკითხი, ამიტომაც შეიძლება სხვა პარტიებმა უკვე უარი თქვეს და ხელი მოაწერეს საპროცესო გარიგებას ხელისუფლებასთან, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის მუდმივი პროცესი, ეს არ უნდა შეჩერდეს, იმიტომ რომ, როგორც კი ჩვენ შევაჩერებთ აქტიურ ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ, მივიღებთ იმ შედეგებს, რაც მიიღეს თუნდაც ამ მომლაპარაკებელმა პარტიებმა, ანუ ნულოვანი შედეგი.

***— იმ შემთხვევაში, თუ არაფერი შეიცვალა და არანაირ დათმობაზე არ წავიდა ხელისუფლება?..***

— ყველა შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობას ალტერნატივა არა აქვს. არჩევნებში არმონაწილეობა არ არის ხელისუფლების შეცვლის გზა. ჩვენ გვჭირდება ხელისუფლების შეცვლა რაც შეიძლება მალე, მაგრამ, არა იმაზე უფრო მალე, ვიდრე ეს რეალურია. რა შედეგი გამოიღო 2008 წლის პარლამენტის არჩევნების ბოიკოტმა, ვნახეთ, შემდეგ შეიქმნა ხელისუფლების სატელიტი პარტიები და ცრუ ოპოზიცია. ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არჩევნებში მივიღოთ მონაწილეობა თუ არა. ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ მივიღოთ არჩევნებში საუკეთესო შედეგი.

***— რაც შეეხება აქციების კუთხით აქტივობას, არც ამას გამორიცხავთ?***

— არათუ არ გამოვრიცხავთ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ერთადერთი გზა მასობრივი აქციებია. მოლაპარაკების შედეგად რომ იყოს შესაძლებელი ტირანების შეცვლა, მაშინ არც ეგვიპტელი ხალხი დაიხოცავდა თავს, არც ლიბიაში შეაკვდებოდნენ კადაფის და არც ტუნისში. ისინიც დასხდებოდნენ და შექმნიდნენ, რვიანი იქნებოდა თუ ცხრიანი და გამართავდნენ ერთწლიან და ორწლიან მოლაპარაკებებს. ასეთი პრეცედენტები არ არსებობს. ტირანების შეცვლა მოლაპარაკების გზით წარმოუდგენელია. ასეთი პრეცედენტები არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. მასობრივ აქციებს, თუ ვსაუბრობთ ტირანიის დამარცხებაზე, ალტერნატივა არა აქვს. ეს აქსიომაა, დამტკიცებულია და დისკუსიას არ ექვემდებარება.

## ირაკლი ალასანია აფხაზეთის ომის ვეტერანებს შეხვდა

გუშინ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია აფხაზეთის ომის ვეტერანებსა და დევნილებს შეხვდა და მათ შეკითხვებს უპასუხა. შეხვედრაზე დევნილთა სოციალურ პრობლემებსა და მისი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს.

მისი თქმით, მაშინ, როცა სახელმწიფო განსაკუთრებულ მხარდაჭერას უნდა უცხადებდეს ომის ვეტერანებს და მათი საცხოვრებელი პირობები და საკუთრება დაცული უნდა იყოს, რეალურად საპირისპირო ხდება. ამის დასტურია პარტიის მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობამ არ განიხილა.

ალასანიას თქმით, აუცილებელია, შეიქმნას ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების მძლავრი მხარდაჭერა ექნება და „თავისუფალ დემოკრატებთან“ თანამშრომლობით დაიცავენ სოციალურად დაუცველთა უფლებებს. „საჭიროა ორგანიზაციამ მიზნად დაისახოს დევნილთა მდგომარეობის გაუმჯობესება, რომლის საბოლოო საფეხურიც აფხაზეთში დაბრუნება იქნება, ამისთვის კი საჭიროა საზოგადოებისგან თანამონაწილეობის სურვილის არსებობა, ერთმანეთს ნდობის ხელი უნდა გავუწოდოთ,“- განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ირაკლი ალასანია ომის ვეტერანებს პირდება, რომ მოამზადებს სოციალურ კანონპროექტს, ხოლო ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემდეგ კანონპროექტის საფუძველზე ვალდებულებას იღებს, რომ მათ უფლებებს კანონის ძალით დაიცავს.

ალასანიას თქმით, მსგავსი შეხვედრა კიდევ ჩატარდება და უფრო მასშტაბური იქნება.

**მედიანიუსი**

## საქართველოს პრეზიდენტის ვაჟი რეკორდსმენი გახდა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის უფროსმა ვაჟმა ედუარდ სააკაშვილმა გინესის რეკორდი დაამყარა.

15 წლის ედუარდ სააკაშვილი გინესის რეკორდსმენი აი-პადზე ინგლისური ანბანის სწრაფად აკრეფაში გახდა. მან სხვებზე უფრო სწრაფად შეძლო აკრეფა, ამისთვის მას 5, 26 წამი დაჭირდა.

პრეზიდენტის ვაჟმა წინამორბედი რეკორდსმენის, ბრიტანელი თინეიჯერის, ჩარლი ჯოზეფ მაკდონელის შედეგი 1,5 წამით გააუმჯობესა.

ბათუმში, იუსტიციის სახლში გამართულ პროცესს უშუალოდ აკვირდებოდა გინესის მსოფლიო რეკორდების მსაჯი შეიდა სუბასი გენიჯი, რომელმაც რეკორდის დამყარების შემდეგ ედუარდ სააკაშვილს წარმატება მიულოცა და მას შესაბამისი სერთიფიკატი გადასცა.

რეკორდის დამყარების პროცესს იუსტიციის სახლში საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი ესწრებოდნენ.

**მედიანიუსი**

## „ქართული პარტია“ სოფლის მცხოვრებთა ინტერესებს იცავს

„ქართული პარტიის“ დახმარებით, მიმდინარე წლის მაისში სასამართლოში შევიდა სარჩელი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის 15 დადგენილების გაუქმების მოთხოვნით.

„ქართული პარტიის“ ინფორმაციით, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას მიწის ნაკვეთის საწყისი საფასური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

კერძოდ: 1 ჰა სახნავი მიწის ფასი განისაზღვრა 300-დან 1000 ლარის ფარგლებში, სათიბი მიწის -120 ლარით, ხოლო საძოვრის - 60 ლარით. ამასთან, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონმა დაადგინა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი ფორმით პრივატიზებისთვის მოიჯარეს განცხადებით უნდა მიემართა სამინისტროსთვის არაუგვიანეს 2011 წლის 1 მაისისა.

მთავრობის მიერ მიწის ნაკვეთის საწყისი საფასური ისე დადგინდა, რომ არც კი შეუსწავლიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მოიჯარეთა ეკონომიკური შესაძლებლობები. ეს იმ პირობებში, როდესაც არსებული რეალობის გათვალისწინებით, სოფლად შემოსავლის ერთადერთი წყარო სწორედ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა და ამასთან, ბოლო წლებში, მოუსავლიანობის გამო, დანახარჯი მიღებულ შემოსავალს აღემატება.

სოფლის მცხოვრებლები კიდევ უფრო მეტად მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მიწა შეისყიდონ და დგანან იმ საშიშროების წინაშე, რომ სოფელი დარჩება ერთადერთი საარსებო საშუალების - სათიბებისა და საძოვრების, ხშირ შემთხვევაში კი, სახნავი მიწების გარეშე.

„ქართული პარტიის“ დახმარებით შეტანილი სარჩელი შეიცავს მოთხოვნას, ფასები ისე განისაზღვროს, რომ გლეხს მიწის შესყიდვის შესაძლებლობა მიეცეს.

2011 წლის 4 ივლისს მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლომ მოისმინა მხარეთა პოზიციები და საჭიროდ მიიჩნია საქმეში მესამე პირებად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საგარეჯოს გამგეობის (რამდენადაც მოსარჩელე საგარეჯოში ცხოვრობს) ჩართვა. პროცესი 18 ივლისისთვის გადაიდო.

„ქართული პარტია“ ყველაფერს გააკეთებს, რომ გლეხი მიწის გარეშე არ დარჩეს და საარსებო საშუალება არ წაერთვას.

**ინტერპრესნიუსი**

შედით საიტზე atb.ge



# სააკაშვილი ესტონეთის პრეზიდენტის მადლიერია

ნათია ხურცილავა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ესტონეთის პრეზიდენტი იმყოფება. მიხეილ სააკაშვილმა თავისი ესტონელი კოლეგა ბათუმში მიიღო. დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები გაიხსენა. ის პერიოდი, როდესაც პარლამენტის წინ ხუთი ევროპელი ლიდერი მხარდაჭერას უცხადებდა ჩვენს ქვეყანას.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, მაშინ ევროპელმა ლიდერებმა საქართველოს მხარდაჭერა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაწყვიტეს.

— ის იყო ერთ-ერთი ხუთი ქვეყნის ლიდერიდან, რომელიც 2008 წლის აგვისტოში საქართველოში ჩამოვიდა. ყველაზე დაძაბულ დღეს, როდესაც თბილისში, მთელი თბილისი და სრულიად საქართველო, ჩვენი ყველა მოქალაქე, მათ შორის ისინი, ვინც პარლამენტის წინ იყვნენ შეკრებილები, ფიზიკური საფრთხის ქვეშ იყვნენ. ფიზიკური საფრთხის ქვეშ იყვნენ არა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც პარლამენტის წინ იყვნენ შეკრებილები, არამედ ის ლიდერებიც, რომლებიც ჩამოვიდნენ. მათ დიდი პიროვნული რისკი აიღეს თავიანთ თავზე და დიდი გამბედაობა გამოიჩინეს, — განაცხადა ერთობლივ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა.



მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მომავალი ევროკავშირია. თანამედროვე ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შესახებ გააკეთა განცხადება პრეზიდენტმა.

— ეს იყო გადამწყვეტი დღე, ეს იყო სიმართლის დღე ევროპისთვის, მთელი მსოფლიოსთვის. ტომას სილვესი იყო ერთ-ერთი ლიდერი, ვინც დადგა ამ სიმართლის მხარეს. ახლახან ჩამოვფრინდი ანაკლიიდან, სადაც არის პრეზიდენტ ადამკუსის სახელობის ბულვარი, ასევე აქვე არის ლეხ და მარია კაჩინსკების სახელობის ბულვარი. დანარჩენი ორი ლიდერი, ვინც იყო ჩამოსული, დღეს ხელისუფლებაში აღარ არიან. ტომას სილვესი არის ის გამონაკლისი, რომლის სახელსაც ჯერ საქართველოში არც ერთი ქუჩა არ ატარებს. კიდევ კარგი იმიტომ, რომ მოქმედი ესტონელი პოლიტიკოსია, ესტონეთის ლიდერი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ევროპელი ლიდერი, რომელიც, იმედი მაქვს, მოღვაწეობას მრავალი წლის განმავლობაში გააგრძელებს. მინდა მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ მან არაერთხელ განაცხადა არა მხოლოდ მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ნატოში, არამედ მხარს უჭერს ევროკავშირის „ღია კარების" პოლიტიკას და ის ამას ღიად აფიქსირებს. იმიტომ, რომ საქართველოს მომავალი, რა თქმა უნდა, ევროკავშირია. რა თქმა უნდა, არის თანამედროვე ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, — აღნიშნა სააკაშვილმა.

ესტონეთის პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს მხარს უჭერს არა მხოლოდ ესტონეთის პოლიტელიტა, არამედ ესტონელი ხალხი.

ესტონეთის პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ბევრი ევროპული ქვეყანა აკვირდება და ჩვენი სიძლიერე იქნება დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

— მოხარული ვარ, რომ საქართველოში ვიმყოფები. პირველად როდესაც ჩამოვედი საქართველოში, მაშინ ძალიან რთული ვითარება იყო. როდესაც ესტონეთში დავბრუნდი, ჩვენთან სიმღერის ფესტივალი ტარდებოდა და ქართული დროშები ფრიალებდა. საქართველოს გვერდით არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ ესტონელი ხალხი დგას. ამიტომ არის ესტონეთი საქართველოს მეგობარი და „ვარდების რევოლუციის" შემდეგ განხორციელებულ რეფორმებს უჭერს მხარს. ესტონეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ სცნობს სუვერენული ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციას. თქვენ დიდი ნაბიჯი გადადგით კარგი მმართველობის კუთხით. დაამარცხეთ კორუფცია. თქვენი ქვეყანა გამჭვირვალე გახდა რეფორმების შედეგად და ამით უნდა იამაყოთ. საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ბევრი ევროპული ქვეყანა აკვირდება და მინდა აღვნიშნო, რომ თქვენი სიძლიერეა, არჩევნები იყოს ისეთივე დემოკრატიული, როგორც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ტარდებოდა, — განაცხადა ესტონეთის პრეზიდენტმა.

ესტონეთის პრეზიდენტი ამბობს, რომ ქართული გზა ბევრი ქვეყნისთვის მოდელია.

— ქართული გზა არის მოდელი ბევრი ქვეყნისთვის, რომლებმაც თავი დააღწიეს ავტორიტარულ რეჟიმებს, — აღნიშნა ტომას სილვესმა.

საქართველოს პრეზიდენტმა სტუმარს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

— ჩვენ არასდროს არ დაგვავიწყდება, თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი, რომელმაც საქართველოს პარლამენტში თქვა: „ჩვენ ყველა ქართველები ვართ". ეს ფრაზა მერე სხვებმაც გაიმეორეს, მათ შორის ჯონ მაკკეინმა. მინდა მადლობა გადაგიხადოთ ასეთი სიტყვებისთვის, — ასე გადაუხადა მადლობა მიხეილ სააკაშვილმა თავის ესტონელ კოლეგას.

## ფალსიფიცირებული სასმელების დამზადება რეალიზაციის ფაქტზე ხუთი ადამიანი დააკავეს

ფალსიფიცირებული სასმელების დამზადება რეალიზაციის ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული არიან საქართველოს მოქალაქეები: ზოია გაბრიჭიძე, ნუკრი კაპანაძე, კორნელი დანელია, გოჩა ნადირაშვილი და ემზარ კვარაცხელია.

გამოძიებით დადგინდა, რომ ზოია გაბრიჭიძე ოჯახურ პირობებში კუსტარულად ჩვეულებრივი სპირტისა, არომატიზატორებისა და შესაფერადებელი ფხვნილების გამოყენებით ცნობილი ბრენდების მეორად ბოთლებში ფალსიფიცირებულ მალალალკოჰოლურ სასმელებს ასხამდა. აღნიშნული ჯგუფის სხვა წევრები კი ქ. თბილისში სავაჭრო ცენტრ ბავშვთა სამყაროს„ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ჯიხურებში ძვირადღირებული ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციას ახორციელებდნენ. ფალსიფიცირებულ სასმელებს შორის იყო სხვადასხვა დასახელების კონიაკები, ლიქიორები და ვისკები.

წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197 ე მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## ანდრია ურუშაძე პოლონეთში გაემგზავრება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე დღეს პოლონეთში გაემგზავრება.

როგორც მან ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დაწყებამდე განუცხადა, იგი პოლონელ კოლეგასა და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეხვდება. დაგეგმილია მისი გამოსვლა საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც ის საქართველოში მიმდინარე სოციალურ რეფორმებზე ისაუბრებს.

— ვიზიტის ძირითადი მიზანი შრომის ბიზნესის რეგულირებასა და სოციალური დიალოგის თვალსაზრისით პოლონეთის გამოცდილების გაზიარებაა, — განმარტა ანდრია ურუშაძემ.

მედიანიუსი

## ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული სამაგისტრო გამოცდებში მიიღებს მონაწილეობას

ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირი ერთიან სამაგისტრო გამოცდებში მიიღებს მონაწილეობას.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სახალხო დამცველის ოფისიდან აცნობეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე მზადყოფნა გამოხატა უზრუნველყოს ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირის დასწრება ერთიან სამაგისტრო გამოცდებზე.

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ზესტაფონის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირის, ოთარ ა. ს დედამ, ნინო ა. მ. განმცხადებლის განმარტებით, ოთარ ა. ს 2011 წლის 20 ივლისს უმთავრდებოდა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა, ხოლო 2011 წლის 14 და 15 ივლისს პატიმარს მონაწილეობა უნდა მიეღო ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდებში.

განცხადებას თანდართული ჰქონდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2011 წლის 6 ივნისს გაცემული ცნობა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ოთარ ა. ნამდვილად იყო დარეგისტრირებული 2011 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდაზე.

2011 წლის 21 ივნისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა მას უზრუნველეყო პატიმრის მონაწილეობა სამაგისტრო გამოცდებში.

2011 წლის 1 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახალხო დამცველს აცნობეს, რომ პატიმარ ოთარ ა. ს აუცილებლად ექნება შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს 2011 წლის 14 და 15 ივლისს დანიშნულ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდებში.

ინტერპრესნიუსი

## რუსეთის საპატრიარქოში აფხაზი სასულიერო პირები მიიღეს

რუსეთის საპატრიარქოს საგარეო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა ილარიონმა, აფხაზეთის სასულიერო პირები — არქიმანდრიტი დოროფე დბარი და იღუმენი ანდრეი ამპარი მიიღო. აღნიშნულის შესახებ „აპსნი პრესი" იუწყება.

— შეხვედრაზე აფხაზურ ეკლესიაში შექმნილი კონფლიქტური ვითარება განიხილებოდა, ასევე ჩვენთვის ღვთისმსახურების აკრძალვის საკითხი განვიხილეთ. თუმცა შევთანხმდით, რომ შეხვედრის დეტალებს არ გავახმაურებდით. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ჩვენთვის ღვთისმსახურების აკრძალვას მოსკოვის საპატრიარქო განიხილავს და შესაძლოა, ახლო მომავალში რაიმე დადებითი გადაწყვეტილებაც მიიღონ,— განაცხადა დოროფე დბარმა.

აფხაზი სასულიერო პირების არქიმანდრიტ დოროფე დბარის და იღუმენ ანდრეი ამპარის რუსეთის საპატრიარქოში მიღება მას შემდეგ გადაწყდა, რაც მათ რუსეთის პატრიარქ კირილს შეხვედრა და მათთვის ღვთისმსახურების აკრძალვის შესახებ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება სთხოვეს.

შეგახსენებთ, რომ 26 მაისს ადიღეის ეპისკოპოს ტიხონის გადაწყვეტილებით, არქიმანდრიტ დბარსა და იღუმენ ამპარს ღვთისმსახურების ჩატარება ერთი წლით აეკრძალათ.

მედიანიუსი

## ნიკა გილაური: საქართველოში წლის ბოლოსთვის 50–60 ახალი კლინიკა გაიხსნება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, მიმდინარე წლის ბოლომდე საქართველოში 50-60 ახალი საავადმყოფო გაიხსნება.

მან გუშინ მთავრობის სხდომაზე ჰოსპიტალურ სექტორში მიმდინარე რეფორმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია შრომის, ჯანმრთელობისა და სოცილაურ საკითხთა მინისტრ ანდრია ურუშაძისაგან მოისმინა.

როგორც ამ უკანასკნელმა აღნიშნა, მიმდინარეობს როგორც კერძო კლინიკების მშენებლობა, ისე მშენებლობა საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით. ამ დროისათვის დასრულებულია რეაბილიტაცია ჟვანიას სახელობის კლინიკასა და რკინიგზის ახალი საავადმყოფოს ბაზაზე. ასევე დასრულებულია ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ყველა კორპუსის მშენებლობა-რეაბილიტაცია და პირველი ეტაპის ფსიქიატრიული დაწესებულებების რეაბილიტაცია.

— ფუნქციონირების დასაწყებად პრაქტიკულად ყველა კლინიკა მზად არის. რაც შეეხება კერძო კლინიკებს, ფუნქციონირების დასაწყებად უკვე მზად არის თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე არსებული საუნივერსიტეტო კლინიკა. ორ თვეში კი თვალის სნეულებათა კლინიკის ბაზაზე არსებული ნიუ-ჰოსპიტალი ამოქმედდება, — აღნიშნა ანდრია ურუშაძემ.

მისი ინფორმაციით, მშენებლობა დაგეგმილი ტემპით რეგიონებშიც მიმდინარეობს. 1 დეკემბრისათვის საქართველოს 50 რაიონში 15- და 25-საწოლიანი კლინიკები იქნება მზად, როგორც ამას მთავრობის გეგმა ითვალისწინებს.

ნიკა გილუარმა ანდრია ურუშაძეს 2-3 კვირის განმავლობაში ჯანდაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმის 6 თვის შედეგებზე ინფორმაციის გაცნობა დაავალა.

მედიანიუსი

## სომხებმა ჩვენი თხოვნა არ გაითვალისწინეს

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გასული კვირის მნიშვნელოვანი დიპლომატიური მოვლენები შეაჯამა და მიმდინარე კვირის აქტუალურ თემებზე ისაუბრა.

7-8 ივლისს თბილისში ნატო-საქართველოს ერთობლივი კონფერენცია გაიმართება. აღნიშნულ კონფერენციაზე განსახილველი საკითხი უსაფრთხოების საკითხი იქნება, რომელიც 21-ე საუკუნისთვის მნიშვნელოვანია.



ქართული მხარე და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენლები იმ გამოწვევებზე იმსჯელებენ, რომელიც აქტუალურია და მათი გადაჭრის გეგმებს განიხილავენ.

კონფერენციაზე ძირითადად სამი საკითხი იქნება განხილული: კიბერ უსაფრთხოება, ენერგო უსაფრთხოება და საერთაშორისო ტერორიზმი.

კალანდაძის განცხადებით, კონფერენციაზე ჩამოთვლილი სამი საკითხის გარდა, ასევე განხილული იქნება გლობალური პრობლემები, ის საფრთხეები, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს წუხილია.

— კონფერენციაზე უსაფრთხოების ახალი გამოწვევების პრევენციის შესაძლებლობების განხილვა მოხდება. ისევე, როგორც უკვე არსებული საფრთხეების დაძლევის მექანიზმის შემუშავება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სწორედ 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი საფრთხეები. კერძოდ, ტერორიზმი, კიბერ უსაფრთხოება და ენერგო უსაფრთხოება. თუმცა, ასევე განხილვის საგანი იქნება სხვა გლობალური საფრთხეებიც, რომლის წინაშეც დგას დღეს მსოფლიო, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც საგარეო საქმეთა სამინისტროში ისაუბრეს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელობის ცვლილებაა.

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს.

ევროკავშირის მისიას ჰანს იორ ჰაბერი ხელმძღვანელობდა. მან თანამდებობა დატოვა. მანდატის ვადის ამოწურვის მიზეზით.

ჰაბერს ორთვიანი ვადით პოლონელი ანჟეი კიშკიევიჩი შეცვლის.

საქართველოს საგარეო უწყებამ აღნიშნა, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია განსაკუთრებით ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს იყვნენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორების ეფექტური მუშაობა ერთიორად მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც რუსეთის ფედერაციის მიერ გაეროსა და ეუთოს მონიტორინგის ჯგუფების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე დაიბლოკა.

ევროკავშირი ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეფაქტო საზღვრებთან მუშაობს.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ისაუბრა ნინო კალანდაძემ, სომხეთის პოზიციას შეეხება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს, რომ სომხეთმა გაეროში დევნილების შესახებ ინიცირებულ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა.

— სამწუხარო დამოკიდებულებაა ჩვენთვის. ჩვენ ამას სინანულით ვხვდებით, რომ სომხეთი არ იზიარებს ჩვენს ოფიციალურ პოზიციას. მით უმეტეს, ჩვენ ძალიან მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ საქართველოს მიერ წარდგენილი რეზოლუცია მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარული ხასიათისაა და არ ისახავს მიზნად რაიმე პოლიტიკურ მოტივაციას, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

მისივე თქმით, გაეროში რეზოლუციის მიღების წინა დღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ თავის სომეხ კოლეგას მისწერა ოფიციალური თხოვნის წერილი, რომ სომხეთს მხარი დაეჭირა რეზოლუციისთვის.

— თუმცა, მათ თვითონ კონფლიქტებისადმი აქვთ განსხვავებული დამოკიდებულება და განსხვავებულად ხედავენ რეზოლუციის მხარდაჭერის საკითხს საკუთარი პრობლემატიკიდან გამომდინარე, — დასძინა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სომხურმა მხარემ მხარი არ დაუჭირა რეზოლუციას, ქართული მხარე გააგრძელებს ძალისხმევას იმისთვის, რომ საქართველომ თავისი მეგობრები რეზოლუციის სიმართლეში დაარწმუნოს.

საქართველოში ცოტა ხნის წინ ვიზიტად მყოფმა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ედვარდ ნალბანდიანმა განაცხადა, რომ არ არსებობს საკითხი, რაზეც ვერ შეთანხმდებიან საქართველო და სომხეთი.

ჟურნალისტებს რაც არ უნდა უმტკიცოს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, როგორც ჩანს, ასეთი საკითხები არსებობს და ეს სომხეთის გადაწყვეტილებამ დაადასტურა.

# გოეთეს ინსტიტუტში ორენოვანი მთარგმნელობითი სახელოსნო გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

გოეთეს ინსტიტუტში რობერტ ბოშის ფონდის ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით 8 ივლისის ჩათვლით ორენოვანი მთარგმნელობითი სახელოსნო გაიხსნება. სახელოსნო განკუთვნილია მათთვის, ვინც მუშაობს ლიტერატურულ თარგმანებზე გერმანულიდან ქართულ ენაზე და პირიქით.

სახელოსნოს მუშაობას გაუძღვებიან წარმატებული და ცნობილი გერმანელი მთარგმნელი, როზემარი ტიტცე და ქართველი გერმანისტი და ენათმეცნიერი, ალექსანდრე კარტოზია, ასევე მონაწილეობას მიიღებენ ზურკამპის (გერმანია) და დიოგენეს (საქართველო) გამომცემლობების ლექტორები და ქართული ლიტერატურის აგენტი შვეიცარიაში. სახელოსნოში მონაწილე მთარგმნელები ერთი კვირის განმავლობაში ინტენსიურად იმუშავებენ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ თარგმანებზე.

მთარგმნელობითი სახელოსნოს მიზანია, ხელი შეუწყოს ლიტერატურული თარგმანის პროფესიონალიზაციას და ასევე პროფესიული ქსელი შექმნას, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან მთარგმნელები, ავტორები, გამომცემლობები და მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშემწყობი ორგანიზაციები. მისი პრიორიტეტია, უფრო წინა პლანზე წამოსწიოს მთარგმნელობითი საქმიანობა ლიტერატურულ სფეროში, რაც წინაპირობაა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისა საერთაშორისო ბაზარზე. საქართველო რამდენიმე წელიწადში აპირებს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგეს, რაც არაჩვეულებრივი საშუალებაა ქვეყნისა და მისი ლიტერატურის პრეზენტაციისათვის მთელი მსოფლიოს წინაშე.

მთარგმნელობითი სახელოსნოს მუშაობის დასრულების შემდეგ გოეთეს ინსტიტუტი და რობერტ ბოშის ფონდი გამართავს ლიტერატურულ საღამოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ავტორები და მათი ნაწარმოებების მთარგმნელები — ავტორები თამთა მელაშვილი („გათვლა“) და გურამ დოჩანაშვილი („სამოსელი პირველი“), მთარგმნელები ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი და სუზანე კიმ-ნიკოლოზ ლომთაძე, მოდერაცია ალექსანდრე კარტოზია. საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის დიდ დარბაზში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე დასწრება თავისუფალია.

## ნინო ბურჯანაძის პარტია პატრიარქის პოზიციას იზიარებს

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ მხარს უჭერს საქართველოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II - ს პოზიციას, რომელის რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პიორის სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილების მიღების შეჩერებას შეეხება

— სააკაშვილის რეჟიმის ჩვეული დაუფიქრებელი და დაჩქარებული წესით გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკა, ყოველდღიურად უფრო და უფრო მძიმედ აისახება ჩვენი ქვეყნის როგორც საგარეო ურთიერთობებზე, ასევე საქართველოს მოქალაქეების ყოფაზე.

მიგვაჩნია, რომ ასეთი საკითხები უნდა გახდეს საჯარო განხილვისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსესუსის საგანი, — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## მაია მიმინოშვილი: უნარ-ჩვევების გამოცდები ჩვეულ რეჟიმში წარიმართა

ზოგადი უნარ-ჩვევების გამოცდები წარმატებით დასრულდა. როგორც გუშინ გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა შემაჯამებელ ბრიფინგზე განაცხადა, უნარ-ჩვევების გამოცდები ჩვეულ რეჟიმში წარიმართა და სერიოზული ექსცესებიც არ ყოფილა.

— სულ დარეგისტრირებული იყო 34 006 აბიტურიენტი, რომელთაგან გამოცდებზე არ გამოცხადდა 2,4 პროცენტი, რაც დაბალი მაჩვენებელია. დააგვიანა მხოლოდ ოთხმა აბიტურიენტმა, მათგან ორმა თბილისში, ერთმა თელავში, ერთმა კი ბათუმში, — განაცხადა მიმინოშვილმა და დასძინა, რომ ზოგადი უნარ-ჩვევების საგამოცდო ქულას, სხვა საგნებთან შედარებით, კონკურსში მეტი წონა აქვს.

მიმინოშვილის თქმით, დღეიიდან მესამე სავალდებულო გამოცდა იწყება უცხო ენაში. აბიტურიენტები სამ ნაკადად ჩააბარებენ ინგლისურს, ხოლო ერთ ნაკადად ჩატარდება გამოცდები ფრანგულში, გერმანულსა და რუსულში.

— ინგლისურის გამოცდა სამ ნაკადად ტარდება მხოლოდ იმის გამო, რომ ამ საგანზე ბევრად მეტი ბავშვია დარეგისტრირებული, ვიდრე სხვა უცხო ენის საგნებზე„ — აღნიშნა მიმინოშვილმა.

**მედიანიუსი**

## დავით გამყრელიძე ესტონეთის პრეზიდენტს შეხვდა

ახალი მემარჯვენეების„ თავმჯდომარე დავით გამყრელიძე დღეს ესტონეთის პრეზიდენტს, თომას ჰენდრიკ ილვესს შეხვდა.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, საუბარი გაიმართა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებზე, მომავალ არჩევნებზე, რუსეთიდან მომავალ საფრთხეებზე, საკონსტიტუციო ცვლილებებზე, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო საკითხების შესახებ შეთანხმებასა და ამ საკითხების იმპლემენტაციაზე, ადამიანთა უფლებების დაცვაზე, მედიის თავისუფლებაზე.

ჰენდრიკ ილვესმა განაცხადა, რომ ის კვლავ რჩება საქართველოს მეგობრად და მხარდამჭერად და რომ მნიშვნელოვანია, საქართველო ჩამოყალიბდეს დემოკრატიულ სახელმწიფოდ.

**ინტერპრესნიუსი**

## პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო მდუმარე აქცია გაიმართა

„წინააღმდეგობის მოძრაობის“ ინიციატივით პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო, მდუმარე აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული სტატუსის მინიჭებას (შესაბამისი კანონის მიღებას) აპროტესტებენ. როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ირმა ინაშვილმა განაცხადა, ეს კანონი საქართველოში მართლმადიდებლობის წინააღმდეგ არის მიმართული. აქციის ორგანიზატორები პარლამენტს მოუწოდებენ ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის განცხადება გაითვალიწინოს და ხსენებული კანონის მიღებისაგან თავი შეიკავოს.

— არ არის საჭირო ამ კანონის ერთ დღეში მიღება, მოაწყონ საჯარო განხილვები თუნდაც ტელევიზიით და მოსახლეობას აუხსნან რა კანონს იღებენ, — განაცხადა ინაშვილმა და დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ინიციატივას არ გაითვალისწინებს, მსგავსი საპროტესტო აქციები სავარუდოდ მომავალშიც გაიმართება.

პარლამენტის შენობის წინ დაახლოებით 30 მომიტინგე იყო შეკრებილი. მათ თან სასტვენები ჰქონდათ მიტანილი და თავდაპირველად მის გამოყენებასაც აპირებდნენ, თუმცა შემდგომ გადაიფიქრეს.

ინაშვილის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ წინააღმდეგობის მოძრაობას ამ საკითხთან დაკავშირებით მომავალში საპროტესტო აქციის გამართვა ისევ მოუწევს, სტვენებსაც გამოიყენებენ.

— იმედი მაქვს სასტვენის გამოყენება ჯერ არ აუკრძალავთ და ამისათვის არ დაგვაპატიმრებენ ან დაგვაჯარიმებენ, — აღნიშნა მან.

აქციაში საზოგადოებრივი მოძრაობა „სამოქალაქო ფრონტის“ ლიდერი ჯაბა ჯიშკარიანი, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე და დავით ლილუაშვილიც მონაწილეობდნენ.

**მედიანიუსი**

# „სი-ენ-ენს“ ქართულმა მხარემ ფული გადაუხადა

**„სი-ენ-ენზე“ გასული რეპორტაჟები საქართველოს შესახებ; რა შანსები აქვს ოპოზიციას საპარლამენტო არჩევნებზე, როგორია ქვეყანაში მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა, 26 მაისის მოვლენები, - „ინტერპრესნიუსი“ ამ საკითხებზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარეს, მარკ მალენს გაესაუბრა.**



***— ცოტა ხნის წინ „სი-ენ-ენ“-ზე გავიდა საქართველოს მომზადებული გადაცემების ციკლი — „მზერა საქართველოზე“. ერთ-ერთი თემა საქართველოში განხორციელებული პოლიციის რეფორმა იყო, რეპორტაჟის ერთ-ერთი რესპონდენტი თქვენც იყავით, როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წარმომადგენელი.***

—დიახ, ისინი საქართველოში ჩამოსვლამდე დამიკავშირდნენ და ინტერვიუს ჩაწერა მთხოვეს. რეპორაჟში ჩემი კომენტარის მხოლოდ ის ნაწილი გაუშვეს, სადაც მედიაზე ვსაუბრობ. ეს არ ყოფილა გადაცემა საქართველოში კორუფციის არსებობაზე ან არარსებიბაზე — ისინი რეპორტაჟს პოლიციაზე, ამ სისტემაში კორუფციასთან ბრძოლაზე ამზადებდნენ. ვთქვი, რომ ამ ქვეყანამ მართლა მიაღწია დიდ წარმატებებს კორუფციასთან ბრძოლაში. ზოგადად, ეს სატელევიზიო პროექტი წმინდა კომერციული ხასიათის იყო და Invest in Georgia-მ ამაში ფული გადაიხადა.

***— ოფიციალური პირები უარყოფენ ამ ინფორმაციას.***

— ვიცი, რომ სწორედ ამ კომპანიამ გადაიხადა ფული და ეს ნორმალურია. „სი-ენ-ენ“-ის წარმომადგენლებიც სულ ამბობდნენ, რომ რეპორტაჟებს Iტმუთე შტ უწკპშფ-სთან თანამშრომლობით ამზადებდნენ, თანხის რაოდენობა არ ვიცი, მაგრამ ქართულმა მხარემ ფული ნამდვილად გადაიხადა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა მონაწილეობს ამ პროექტში.

ხალხს ქვეყანაზე ინფორმაციას აწვდიან, ინვესტორებს კი აღუძრავენ სურვილს, კაპიტალი დააბანდონ. ეს არ ყოფილა საგამოძიებო ჟურნალისტიკის ნაწარმოები, ისინი მოწოდებულები იყვნენ, პოტენციური ინვესტორებისთვის საქართველოზე ინფორმაცია მიეწოდებინათ და ვფიქრობ, რომ მათ ეს შეძლეს. ინვესტორი ჯერ უნდა დაინტერესდეს ქვეყნით და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაატარებს გარკვეულ კვლევას. ჩემი აზრით, მათ ამ რეპორტაჟების ნახვის შემდეგ ინტერესი უნდა გასჩენოდათ. ასეთი ტიპის გადაცემებს არ მოეთხოვება, რომ მათში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები დეტალურად აისახოს, საზღვარგარეთ მცხოვრებ ადამიანებს, რომელთაც არც ისე ბევრი გაუგიათ საქართველოზე, ნამდვილად არ დააინტერესებთ ეს საკითხები — ეს პრობლემები ქართულენოვანი მედიის გასაშუქებელია და ჩემი კრიტიკული მოსაზრება ქართულ მედიასთან დაკავშირებით სწორედ ამ თემას ეხება: ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების მეტი და მეტი გაშუქება... ნამდვილად არ ვიცი, რამდენი გადაიხადა ქართულმა მხარემ, ეს უკვე ჟურნალისტების გამოსაკვლევი საკითხია. თუმცა, ქართველ ხალხს, რა თქმა უნდა, უფლება აქვს, გაიგოს, თუ რამდენი გადაუხადეს “სი-ენ-ენს“-ს ამ რეპორტაჟების მომზადებისათვის. არ მინახავს, თუ ვინ, ვის რამდენი გადაუხადა, მაგრამ ის დანამდვილებით ვიცი, რომ Invest in Georgia-მ ფული გადაიხადა, ალბათ, ეს არც ისე ცოტა თანხა იყო.

***— ქართულ პერიოდულ გამოცემებში თქვენი არაერთი წერილი გამოქვეყნებულა. ერთ-ერთ ბოლო სტატიაში „საქართველო უკეთეს შეთავაზებას იმსახურებს“ ქვეყანაში საარჩევნო გარემოს შეცვლის აუცილებლობაზე წერთ. რა შანსები აქვს ოპოზიციურ პარტიებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე?***

— ვფიქრობ, რომ ეს დიდწილად საარჩევნო კანონმდებლობაზეა დამოკიდებული, ასევე მათ მიერ წარმოებულ კამპანიაზე. კამპანიის წარმოება კი, სწორედ საარჩევნო კანონმდებლობაზეა მიბმული. ამჟამად საქართველოში ძალიან ცუდი საარჩევნო კანონი მოქმედებს: ხელისუფლებას არჩევნებზე ხმების მცირე რაოდენობის მიღების შემთხვევაშიც კი პარლამენტში მანდატების უმრავლესობის მოპოვება შეუძლია, რაც ნამდვილად დიდი პრობლემაა. ეს კი იმის შედეგია, რომ საპარლამენტო ოპოზიციას სულ უფრო ნაკლებად ეკითხებიან რამეს: უმრავლესობას მათი თანხმობისა თუ პროტესტის მიუხედავად, მაინც გააქვს თავისი ინიციატივები.

***— „ოპოზიციური რვიანი“ სწორედ ხელისუფლების მიერ შეთავაზებული წინადადების გამო გაიხლიჩა, დარჩენილები კი ერთიანი ბლოკის შექმნაზე იწყებენ მსჯელობას.***

— ადამიანებს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები აქვთ, თუმცა ნამდვილად არ მომეწონა ის განცხადებები, რაც გაკეთდა: “ქრიტიან-დემოკრატმა“ გიორგი თარგამაძემ და “ახალმა მემარჯვენე“ დავით გამყრელიძემ აქ დარჩენას და ამ საკითხების ადგილზე გარჩევას აშშ-ში გაფრენა არჩიეს და ვფიქრობ, რომ ეს მათგან არც ისე მამაცი საქციელი იყო. ის შეთავაზება კი, რაც ხელისუფლებამ გააკეთა, შეთავაზება არ ყოფილა — ეს უფრო ცინიკური წინადადება იყო. შესაცვლელია საარჩევნო ბარიერი 30%-დან 50%-მდე. 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე ბარიერი 50%-დან 30%-მდე ჩამოიწია. ამ ნაბიჯმა ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ კანდიდატებს საშუალება მისცა, ხმების 30%-ზე მეტის დაგროვებით გასულიყვნენ და არა - მოსახლეობის ნახევრის მხარდაჭერით. თუ მათ 50 %-იანი ბარიერის გადალახვა მოუწევთ, ისინი მეტს იმუშავებენ საარჩევნო კამპანიაზე და პლენარულ სხდომებსაც დაესწრებიან.

***— იმავე წერილში წერთ - ქართული პოლიტიკის მთავარი პრობლემა ის არის, რომ მმართველ გუნდს არ შესწევს უნარი, იმუშაოს ოპოზიციასთან.***

— არამარტო არ შესწევს უნარი, არამედ არც სჭირდება. უმრავლესობა ისე ცვლის კონსტიტუციას, კანონებს, იღებს ახალ წინადადებებს და ამტკიცებს ინიციატივებს, რომ ოპოზიციას არაფერს ეკითხება — ამის საჭიროებას ვერ ხედავს. დიდი ხნის განმავლობაში ასეთ მდგოამრეობაში ყოფნამ უმრავლესობა გააზარმაცა, ის შეცდომას შეცდომაზე უშვებს. მაშინ, როცა ოპოციზიცია ხმას იღებს ამა თუ იმ კანონპროექტზე და აკტირიკებს ხელისუფლებას (ვსაუბრობ არა გადარეულ და სულელ ოპოზიციონერებზე, არამედ მათზე, ვინც პოლიტიკურ პროცესებში რეალურად არიან ჩართულები), მმართველი გუნდის წევრები გამოდიან და ამბობენ: რა უნდა ოპოზიციას, ხომ ხედავთ, კორუფცია არ არის, სხვადასხვა ქვეყანასთან ვაჭრობა შეგვიძლია... მე ეს რიტორიკა არ მესმის — პრობლემებზე ღიად საუბარი, დებატები, კომპრომისები არის სწორედ კორუფციის დაუშვებლობის პრევენცია... ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია გარკვეული ტიპის ოპოზიციის არსებობა ქვეყანაში. შეხედეთ „რუსთავი 2“-ს და სხვა სატელევიზიო მედიას, თუ რამდენ დროს ხარჯავენ ბურჯანაძეზე, კიწმარიშვილზე, სუბარზე, ოქრუაშვილზე. ვფიქრობ, რომ ესენი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ფიგურები არ არიან: ხალხი მათ მხარს არ უჭერს, არ აქვთ საკმარისი და რეალური ძალა... ახლა შეხედეთ იმ პარტიებსაც, რომლებიც ხელისუფლებასთან ახლოს არიან — მათზეც ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედია დიდ დროს ხარჯავს. იმ პოლიტიკურ პარტიებზე კი, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებში მართლა მონაწილეობენ და საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაზე მსჯელობენ, ყველაზე ნაკლები საეთერო დროა გამოყოფილი... ასე რომ, ხელისუფლებას ხელს აძლევს, ხალხმა არა რეალურ ოპოზიციას, არამედ გადარეულ ან მასთან დაახლოებულ პოლიტიკურ პარტიებს მიაქციოს ყურადღება. რაც შეეხება ერთიანი ბლოკის შექმნას, არ ვიცი, რას და როგორ აპირებენ, უბრალოდ ის ვიცი, რომ ადამიანს ყოველთვის უადვილდება ერთი კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის მხარდაჭერა, ბლოკის შემთხვევაში კი რამდენიმე პოლიტიკური ლიდერის მხარდაჭერა მოუწევს, ისედაც, ბლოკის პრინციპზე შექმნილი გაერთიანება ცოტაზე მეტად თავისებური და რთული შესანარჩუნებელია. პარტიის ლიდერებს უყვართ ამის თქმა: ბლოკს ვქმნით და შემოგვიერთდითო. იქ, სადაც 3, 4, 5, 6 ლიდერია, სიტუაცია აშკარად განსხვავებულია.

***— 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?***

— რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ იმ 26 მაისის ღამის ამბებმა საქართველო ბელორუსისა და სხვა ასეთი ტიპის სახელმწიფოს დონემდე დაწია. პარლამენტის წინ შეკრებილი დემონსტრანტების სურვილი იყო, პოლიცია და სპეცრაზმი მათ თავს დასხმოდა. ხელისუფლებაზე ჭკვიანები უნდა ყოფილიყვნენ და მათ იქ დატრიალებული მოვლენები არ უნდა გამოეწვიათ, თუმცა აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს უნდოდათ. შეცდომა ორივე მხარემ დაუშვა. ბურჯანაძისა და მისი ხალხის “გოლი“ ის აღმოჩნდა, რომ 26 მაისის ღამის ფოტო და ვიდეო კადრებმა მთელი მსოფლიო მოიარა და ერთ დღესაც საქართველო ბელორუსის, ტუნისის, სირიის ტიპის ქვეყნების ბლოკში აღმოჩნდა „სი-ენ-ენ“-ზე, „ბი-ბი-სი“-ზე. თუმცა მე ვფიქრობ, რომ 26 მაისის მოვლენები იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც საარჩევნო გარემოზე ფიქრი და დისკუსია. შეიძლება, ახლა ეს ხალხის უმეტეს ნაწილს არ ადარდებს, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს მიღებულ გადაწყვეტილებებზე იქნება დამოკიდებული შემდგომი არჩევნებისა და, შესაბამისად, ქვეყნის ბედი. ამიტომაც არის, რომ პოლიტიკურ პარტიებს და მედიას აქვთ განსაკუთრებული შესაძლებლობა, ხალხს უთხრან, თუ რა არის მთავარი, რა იქონიებს გადამწყვეტ გავლენას მომავლის მოვლენებზე. ნუ გეგონებათ, რომ ხალხი მხოლოდ საქართველოშია გულგრილი საარჩევნო თემატიკის განსახილველად — აშშ-ში მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის, ვინ, რამდენი, სად და როდის დახარჯა საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. იქ სხვა რიგის პრობლემებიც დგას, შესაბამისად, ამ საკითხებზე ყურადღების მიქცევის ბერკეტები პოლიტიკურ პარტიებს და მედიას უჭირავთ ხელში.

**ინტერპრესნიუსი**

# ნიკორწმინდის ტაძარში უცნობი ფრესკები აღმოაჩინეს

ეკა ირემაშვილი



ნიკორწმინდის ტაძარში სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას რესტავრატორებმა აქამდე უცნობი ფრესკები აღმოაჩინეს. როგორც ტაძარში მომუშავე სპეციალისტები აცხადებენ, კედლის მხატვრობა XVI საუკუნით თარიღდება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ახლად აღმოჩენილი მხატვრობის კონსერვაციას მიმდინარე წელს დაგეგმილ სამუშაოებთან ერთად გადაუდებლად განახორციელებს. ნიკორწმინდის ტაძრის სრული რეაბილიტაციის დასრულება წელს არის დაგეგმილი. რესტავრატორები ახლა ტაძრის დასავლეთ მკლავში, გუმბათსა და საკურთხეველში მდებარე ფრესკების გადარჩენაზე მუშაობენ.

ნიკორწმინდა გუმბათოვანი ტაძარია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფელში. დასავლეთის შესასვლელის წარწერის მიხედვით, ტაძარი აუგიათ საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის დროს. ტაძარი გარედან მოკლემკლავებიანი სწორკუთხა ჯვრის ფორმისაა, შიგნიდან კი ხუთაფსიდიანია. ინტერიერში შემონახულია XVII საუკუნის ფრესკები, გვიანდელი ხანის ქართული კედლის მხატვრობის დამახასიათებელი ნიმუშები. ეკლესიის ფასადები შემოსილია კარგად გათლილი ქვით და დამუშავებულია უწყვეტი თაღედით. ასეთივე თაღედით არის დამუშავებული 12-სარკმლიანი გუმბათის ყელიც. ტაძარი უხვად არის შემკული მდიდრული ჩუქურთმებით, დიდი ადგილი უჭირავს სიუჟეტურ მრავალფიგურიან რელიეფებს, მრავალფიგურიან სცენებს („ფერისცვალება“, „მეორედ მოსვლა“, „ჯვრის ამაღლება“), წმინდანების ფიგურებს, რეალურ და ფანტასტიკურ ცხოველებს, გამოსახულებებს, რომლებიც ერთი მთლიანი, წინასწარ გააზრებული პროგრამის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. სარკმლებს ირგვლივ შემოუყვება ჩუქურთმიანი არშიები. სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები მოგვიანებითაა მიშენებული, მაგრამ ისინიც XI საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება. ტაძრის ფრესკების სიდიადე თვალს სჭრის მნახველს. 1534 შენობა განუახლებია იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს. ტაძრის ეზოში აღმართული სამსართულიანი სამრეკლო XIX საუკუნის II ნახევარშია აშენებული.

პროექტის პირველ ეტაპზე ძეგლის არქიტექტურის გამაგრებისა და ძეგლის გადახურვის შემდეგ, ამჯერად კედლის მხატვრობის რესტავრატორები ნიკორწმინდის განადგურებული ფრესკების კონსერვაციის ურთულეს პროექტს ახორციელებენ. კედლის მხატვრობის კონსერვაციის პარალელურად მიმდინარეობს ტაძრის წყლის გადამყვანი სისტემებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობა. რესტავრაციის სფეროში უმაღლესი საერთაშორისო ჯილდოს — პრემია ნოსტრას მფლობელი რესტავრატორი გურამ ჭეიშვილი სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს უკვე მეორე წელია, რაც ნიკორწმინდის პროექტის ფარგლებში ხელმძღვანელობს. ექსპედიცია ამ ეტაპზე ტაძრის დასავლეთ მკლავის, გუმბათისა და საკურთხეველში არსებული ფრესკების გადარჩენაზე მუშაობს. პროექტი აგვისტოს ბოლოს დასრულდება, როდესაც სრულად გამაგრდება და გაჯანსაღდება ნიკორწმინდის გამორჩეული და განუმეორებელი კედლის მხატვრობა.

ამ აღმოჩენის ადგილზე შესასწავლად იმყოფებოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

— ეს აღმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. უმდიდრესი ნიკორწმინდის ინტერიერში თანდათან ჩნდება ძველი მოხატულობის ახალი ფენები. ეს არის XVI საუკუნით დათარიღებული მონუმენტური ფრესკები. ძალიან ბევრი ფიგურაა, ასეთი ანალოგი არც გვაქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ფრესკებს თან ახლავს მომხატველის წარწერა, რაც ასევე იშვიათია. ეს ერთ-ერთი მიღწევაა იმ კვლევითი და საკონსერვაციო სამუშაოებისა, რაც დღეს ნიკორწმინდის ტაძარში მიმდინარეობს. ეს არის უნიკალური აღმოჩენა. უკვე დაიწყო აღმოჩენილი ფრესკების დამუშავება სპეციალისტთა მიერ, რომ განისაზღვროს რა სცენებია, რა გამოჩნდა, რა პროგრამებია. ეს აღმოჩენა მეცნიერული კუთხით ნამდვილად ღირებულია. ისედაც ყოველთვის უმდიდრესი იყო ნიკორწმინდა, მაგრამ ახლა იგი ორმაგად მდიდარია. ამ ცოცხალმა მუზეუმმა, გენიალურმა ნიკორწმინდამ თავის სიდიადეში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, — განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

ნიკორწმინდაში მიმდინარე რამდენიმეწლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასკვნით ეტაპზეა. ტაძრის რეაბილიტაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის ერთობლივი დაფინანსებით ხორციელდება.

# „არდიფესტი“ დასრულდა

ეკა ირემაშვილი

სამეფო უბნის თეატრში დასრულდა 25-წუთიანი სპექტაკლების რიგით მესამე ფესტივალი, „არდიფესტი“, რომელმაც საუკეთესოები 7 ნომინაციაში გამოავლინა. ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიალამდე შეკრებილი საზოგადოებისთვის წარმოდგენილი იყო თეატრის სარეპერტუარო სპექტაკლი, სკინერის „ბრმა ფერი“, რომლის რეჟისორიც ნინი ჩაკვეტაძეა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, რომელშიც თემურ ჩხეიძე (ჟიურის თავმჯდომარე), მურაზ მურვანიძე, დავით დოიაშვილი, მანანა გეგეჭკორი, გიორგი ცინცაძე, ზურაბ გეწაძე იყვნენ გაერთიანებული, საუკეთესოებისთვის დაწესებული პრიზები ასე გადანაწილდა — ნომინაციაში საუკეთესო დრამატურგი გაიმარჯვა დათა ფირცხალავამ პიესისთვის „ტკბილი სახლი“, საუკეთესო მხატვარი გახდა გიორგი უსტიაშვილი სპექტაკლისთვის „სალათის ფოთლები“, საუკეთესო კომპოზიტორი — ალექსანდრე ნიკოლაძე სპექტაკლისთვის „სიზმარი“, საუკეთესო მსახიობი მამაკაცი — გაგა შიშინაშვილი სპექტაკლისთვის „მიაუ“, საუკეთესო მსახიობი ქალი — მარიამ კიტია სპექტაკლისთვის „ამას ტურისტებს არ უჩვენებენ“, საუკეთესო რეჟისორი — პაატა ციკოლია სპექტაკლისთვის „ლავ რატს“. ფესტივალის სპეციალური პრიზი კი ერგო სპექტაკლს „არა უშავს“, რეჟისორი ნინი ჩაკვეტაძე, მსახიობები იაკო ჭილაია და შაკო მირიანაშვილი.

ფესტივალი პირველი დღე სამეფო უბნის თეატრში შეკრებილმა მაყურებელმა გიორგი ჯიქიას, შალვა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ბერა ივანიშვილი: „ნამდვილი ბოზი მირჩევნია ყალბ ქალიშვილს!“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ახალი ნამუშევარი, სახელწოდებით „ჰიპ-ჰოპ ვალსი“ წარუდგინა. კლიპის პრეზენტაციაზე მომღერალმა თავის ფანებს მეტი უშუალობა და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა სთხოვა.

კლიპის პრემიერამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გოგონების წივილ-კივილსა და გულწრფელ აპლოდისმენტებში ჩაიარა. თუმცა, ბერას ფანების ყველაზე დიდი მოწონება მაინც მუსიკალურ კლიპში გაჟღერებულმა ფრაზამ „ნამდვილი ბოზი მირჩევნია ყალბ ქალიშვილს“ დაიმსახურა.

კლიპის წარდგინების შემდეგ მომღერალმა თავის ფანებს საშუალება მისცა, მისთვის ის შეკითხვები დაესვათ, რაც მათ ყველაზე მეტად აინტერესებთ და თავადაც პირობა დადო, რომ ყველას გულწრფელად უპასუხებდა. კინოთეატრ „რუსთაველის“ დარბაზში, რა თქმა უნდა, გოგონები ჭარბობდნენ, ამიტომ მათ ბერას თითქმის ყველაფერი ჰკითხეს — ჰყავს თუ არა შეყვარებული, რა გეგმები აქვს, კიდევ რა სიახლეებს სთავაზობს თავის ფანებს.

ბერამ არ დაიზარა და ერთგულ მსმენელს თითქმის ყველა კითხვაზე უპასუხა. შეკითხვაზე, ჰყავს თუ არა შეყვარებული, მომღერალმა დარბაზში შეკრებილებს უპასუხა, რომ იგი ყველაშია შეყვარებული და თითოეული გულშემატკივარი მისი შეყვარებულია. „მე თქვენში ვარ შეყვარებული, ყველა ერთად მიყვარხართ“, — განაცხადა მომღერალმა.

ერთ-ერთმა ფანმა უსაყვედურა მომღერალს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ლოს ანჯელესში ყველას არ შეუძლია ჩასვლა და მისი მოსმენა, ბერამ კი ყველა დაამშვიდა და უთხრა, რომ ლოს ანჯელესში მხოლოდ სამუშაოდ უწევს გამგზავრება, რადგან საქართველო ძალიან უყვარს და თან ასეთი ერთგული თაყვანისმცემლების გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. „მესმის თქვენი სამართლიანი საყვედური, მაგრამ, მინდა ვიყო განსაკუთრებული და საქართველოში მაღალი ხარისხის სიმღერები შემოგთავაზოთ. არსად წასვლას არ ვაპირებ, რადგან ძალიან მიყვარს ქართული მიწა. აქ ყველაფერი მაგარია, ძალიან მაგარი ქვეყანაა. არ დაკვირვებიხართ, ცაც კი სულ სხვანაირია საქართველოში“, — განუცხადა ფანებს მომღერალმა.

როგორც კლიპის პრეზენტაციაზე მომღერალმა განმარტა, მისი მთელი ცხოვრება მუსიკასთან არის დაკავშირებული და თავის ერთგულ მსმენელს მომავალში არაერთ სიახლეს ჰპირდება. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ერთი წლისაც არ იყო და არც ლაპარაკი და სიარული შეეძლო, უკვე იცოდა, როგორ ირთვებოდა რადიო. „ჩემი მუსიკით ვცხოვრობ“, — ამბობს ბერა. ის ბავშვობაში დადიოდა ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე. რაც შეეხება საყვარელ მუსიკალურ მიმდინარეობას, ბერას განსაკუთრებულად უყვარს ჯაზი. მისი საყვარელი მომღერლები არიან მაიკლ ჯექსონი, თუპაქი, ბარი უაითი, ლაიონელ რიჩი. მიუხედავად იმისა, რომ სულ ახლახან გამოჩნდა შოუბიზნესის სფეროში, მისი პირველი სინგლი „სიზმარი“ მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი თქმით, სწორედ სიზმარში დაწერა პირველი მელოდია. ყველაფერი, რაზეა მომღერალი მღერის, რეალურზეა აგებული. ბერა უკვე მუშაობს პირველ ალბომზე, რომელსაც მსმენელი მალე გაიცნობს. მისი ყველაზე დიდი ოცნება გრემის მოპოვებაა.

— არ მინდა, ვიყო სუპერვარსკვლავი, არ მინდა, ვიყო ხელშეუხებელი ბიჭი. ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, ვიყო ისეთი, როგორიც თქვენ ხართ, მინდა, უსმინოთ ჩემს მუსიკას და ჩემი შემოქმედებით თქვენ, თითოეულ მათგანს, ჩემს განცდებს გაგიზიარებთ, — ამბობს ბერა ივანიშვილი.

სამომავლო სიახლეებთან დაკავშირებით მომღერალმა ბევრის თქმა არ ისურვა. ის მხოლოდ 16 წლის არის, მაგრამ უკვე ზუსტად იცის, რა უნდა. უნდა, ლეიბლი შექმნას და ნიჭიერ ადამიანებს გზა გაუკვალოს. ჰყავს პროდიუსერი, მუშაობს ალბომზე, რომელშიც ლედი გაგას კომპოზიტორი რობ ფუსარი და მაიკლ ჯექსონის კომპოზიტორი როდი ჯერკინსი არიან ჩართული. აღელვებულ ფანებს ბერამ მხოლოდ ის განუცხადა, რომ სულ მალე დაიწყებს მუშაობას ემ ქეისთან ერთად და, სავარაუდოდ, ეს ყველაფერი აგვისტოში მოხდება.

ბერას კლიპის წარდგენის შემდეგ სიურპრიზი მომღერალს ფანებმაც მოუწყვეს. ისინი სცენაზე ერთმანეთის მიყოლებით ადიოდნენ და მხოლოდ მისთვის მღეროდნენ, ბედნიერი მომღერალი კი მათ მხურვალე აპლოდისმენტებით აჯილდოებდა.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)**

## განცხადებები

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით. 1 კვ.მ.-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი პაციენტის შესაძლებლობის მიხედვით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-37-72 ნარგიზა.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ: 296-38-27; 593-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

# ნოვაკ ჯოკოვიჩი: „შიშის გრძნობა საბოლოოდ გადავლახე“

**ჩოგბურთის გულშემატკივართა არცთუ მცირე რაოდენობის აზრით, ფედერერ-ნადალის შემდეგ ნოვაკ ჯოკოვიჩის ეპოქა დადგა. რამდენად გამართლდება მათი თვალსაზრისი, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. უიმბლდონის ტურნირზე გამარჯვების შემდეგ კი ჯოკოვიჩმა პირველი ინტერვიუ მისცა.**



*— როდესაც კორტზე მაღალ დონეზე გამოსვლა დაიწყეთ, საჩოგბურთო სამყაროში ფედერერი და ნადალი მეფობდნენ. ფსიქოლოგიურად არ გაგიჭირდათ?*

— ძალიან ხშირად გულგატეხილი ვრჩებოდი იმის გამო, რომ საკმაოდ კარგად ვთამაშობდი, მეოთხედფინალებსა და ნახევარფინალებში გავდიოდი, მაგრამ ან როჯერთან ვმარცხდებოდი ან რაფასთან. გადამწყვეტ მომენტში საუკეთესო თვისებებს ვერ ვავლენდი, ისინი კი უზადოდ გამოიყურებოდნენ. მოგვიანებით მივხვდი, რომ მაშინ სწავლების პროცესში გახლდით. ვვითარდებოდი, როგორც ჩოგბურთელი და ადამიანი. ვეძებდი ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევის გზებს, ამასთან არასდროს მტოვებდა იმედი, სადიდსლემო ტურნირებს რომ მოვიგებდი. უდიდეს პატივს ვცემ ფედერერსა და ნადალს. როდესაც მათ წინააღმდეგ სათამაშოდ გავდივარ, თავს ყოველთვის შთავაგონებ, რომ მაყურებელს ულამაზეს საჩოგბურთო სანახაობას შევთავაზებთ. როდესაც მაღალ მიზანს ისახავს, გონებაში უნდა ჩაიბეჭდო, ნებისმიერი ოპონენტის ძლევა რომ შეგიძლია.

*— 12 წლისა სამშობლოდან გერმანიის საჩოგბურთო აკადემიაში გაემგზავრეთ. თუ გრძნობდით, ურთულესი არჩევანი რომ გააკეთეთ?*

— ვიცოდი, რაზეც მივდიოდი. ძმებს, მთლიანად ოჯახის წევრებს მოვეთათბირე. მათ ვუთხარი, რომ მაღალ დონეზე თამაში ჩემი ოცნება იყო და ახლობლებიც გაგებით მოეკიდნენ ჩემ წამოწყებას და ყოველმხრივ დამეხმარნენ. მოგეხსენებათ, როგორი რთული სიტუაციაა სერბეთში. ომებმა ჩემი სამშობლო დააძაბუნა და უცხოეთში რომ არ წავსულიყავი, ჩოგბურთის ამ დონეზე თამაში შეუძლებელი იქნებოდა. თანაც, სერბეთს პრაქტიკულად არ ჰქონდა საჩოგბურთო ისტორია, ტრადიცია. ვფიქრობ, ეს ჩვენთვის დამატებითი მოტივაცია, სტიმული გახდა. საკუთარ თავთან ერთად, იანკოვიჩს, ივანოვიჩს, ტიპსარევიჩს, ზიმონიჩს ვგულისხმობ. დიდი სირთულეები გადაგვხვდა, მაგრამ რაც მეტი იყო წინააღმდეგობა, მით უფრო ჯიუტად მივიწევდით დასახული მიზნებისკენ. ამან მენტალურადაც გამოგვაწრთო.

*— წლეულს რაფა ნადალს ყველა მატჩი მოუგეთ. მაინც რაა თქვენი უპირატესობა მალიორკელთან პაექრობისას?*

— რაფას წინააღმდეგ თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და მოტივაციას მმატებს. როდესაც ფინალში სათამაშოდ გავდიოდი, ბოლო 3 უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი მელოდა კორტის საპირისპირო მხარეს. კარიერის განმავლობაში ბალახის კორტზე საუკეთესო მატჩი ჩავატარე. ბედნიერი ვარ, ეს უიმბლდონის გადამწყვეტ შეხვედრას რომ დაემთხვა.

*— ჩოგანი კიდევ შეგრჩათ? კორტის ბალახი გემრიელი იყო?*

— დევისის თასისთვის წყვილი ჩოგანი გადანახული მაქვს. ბალახს რაც შეეხება, ფინალის კვალობაზე გემრიელი იყო, საეჭვო იყო, ორგანიზატორები გაზონის ასეთ კარგ მდგომარეობაში შენახვას რომ მოახერხებდნენ.

*— დაუფარავად გვითხარით, რას გრძნობთ უიმბლდონის ტრიუმფატორის რანგში?*

— მთელი ცხოვრება ამისკენ მივისწრაფოდი და ვფიქრობ, ჩემი განწყობის სიტყვებით გადმოცემა უადგილოა.

*— დედა ამტკიცებს, რომ თქვენ თამაშზე უაღრესად სასიკეთო ზეგავლენა დევისის თასის მოგებამ მოახდინა. მისი აზრით, უშიშრად ასპარეზობა დაიწყეთ. შარშან დევისის თასი რომ არ მოგეგოთ, დღეს „სხვა“ ნოვაკ ჯოკოვიჩს ვიხილავდით?*

— თუკი დედაჩემი ამას ამბობს, მაშინ ნაღდად ეგრეა. იგი უფრო კარგად მიცნობს, ვიდრე მე საკუთარ თავს. დევისის თასის ფინალმა კი მართლაც უშრეტი ენერგია და დამაჯერებლობა მომცა. შიშის გრძნობა საბოლოოდ გადავლახე. ნებისმიერი სპორტსმენი ცდილობს საუკეთესო გახდეს. გამონაკლისი არც მე გახლავართ, ახლა კი წინსვლა მმართებს, რადგან ადგილზე დგომა უკუსვლას ნიშნავს.

# „ზესტაფონმა“ ავსტრია მოილია, „სპარტაკმა“ და „მერანმა“ — ბაკურიანი



„ზესტაფონმა“ ავსტრიულ შეკრებაზე ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა და როგორც იქნა, გოლებიც გაიტანა და გამარჯვებასაც მიაღწია. საქართველოს ჩემპიონებმა დაძაბულ ბრძოლაში რუმინეთის ჩემპიონატის მერვეადგილოსან კლუბის „უნივერსიტატიას“ სძლიეს.

გია გეგუჩაძემ ავსტრიულ შეკრებაზე პირველად გაიყვანა ოპტიმალური შემადგენლობა და ფეროელთა პროგრესიც უპირველესად ამას უნდა მივაწეროთ. ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა ნიკა გელაშვილი და შეტევაში არსებული პრობლემებიც მოგვარდა. ერთადერთი, რაც არ მოგვეწონა, ისევ მეკარისა და დაცვის არადამაჯერებელი თამაშია. არადა, ეს ხაზი განსაკუთრებით გამოირჩეოდა იმერულ გუნდში.

„ზესტაფონმა“ საქმე პირველივე ტაიმში მოილია, როცა რუმინელთა სწრაფი გოლის შემდეგ ვითარება უმალ შეცვალა სათავისოდ და შესვენებამდე 3 ბურთი გაიტანა. მეორე ნახევარში „კლუჟი“ უკეთ გამოიყურებოდა, თუმცა თამაშის გადარჩენა ველარ შეძლო და “ზესტაფონის“ წევრები ევროსეზონს კარგი განწყობით შეხვდებიან.

გეგუჩაძემ გუნდი ბოლო საკონტროლო მატჩში ასეთი შემადგენლობით ათამაშა: რ. კვასხვაძე, თ. ღონღაძე, გ. ონიანი (კობახიძე 31), ხიდეშელი (გაგოშიძე 80), ელიავა (სარდალიშვილი 88), დაუშვილი (როს. გეწაძე 68), ძარია (ბაბუნაშვილი 59), აფციაური (ჭანკოტაძე 67), გრიგალაშვილი (ბენაშვილი 67), დვალი (ს.ლომია 67), გელაშვილი (წინამძღვრიშვილი 59).

გეგუჩაძის გუნდი საქართველოში გუშინ დაბრუნდა და 14 ივლისის შეხვედრისთვის ზესტაფონში მოემზადება.

შეგახსენებთ, “ზესტაფონმა“ ავსტრიის ალპებში ორი კვირა გაატარა და გუშინდლამდე სამი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა — რუმინულ “სტიაუასთან“ 0:1 დამარცხდა, უკრაინულ “კარპატისთან“ 0:0 ითამაშა, შვეიცარიულ “ბაზელთან“ კი 0:4 განადგურდა.

რაც შეეხებათ საქართველოს ჩემპიონატის სხვა გუნდებს, რომლებიც ევროტურნირებზე ვერ მოხვდნენ:

ცხინვალის “სპარტაკი“ ახალი სეზონისათვის სერიოზულად ემზადება — ბადრი კვარაცხელიას გუნდმა ერთი შეკრება უკვე გაიარა და ამჯერად თბილისში ჩაატარებს საკონტროლო მატჩებს.

“სპარტაკი“ 20 ივნისიდან პირველ ივლისამდე ბაკურიანში გადიოდა შეკრებას, სადაც მთავარმა მწვრთნელმა 23 ფეხბურთელი წაიყვანა, ერთი ფეხბურთელი, რომელიც გუნდს ოდნავ მოგვიანებით შეუერთდა, საკმაოდ გამოცდილი გივი კვარაცხელიაა, რომელსაც აქამდე 3 ქვეყნის ჩემპიონობა აქვს მოპოვებული.

საერთოდ, წინა სეზონთან შედარებით “სპარტაკში“ სერიოზული ცვლილებები მოხდა და მომავალ სეზონში ანგარიშგასაწევი ძალა უნდა იყოს. არადა, ცხინვალელებს “სულზე მიუსწრო“ ჩემპიონატის რეგლამენტის შეცვლამ, თორემ ცხინვალელთა გუნდს პირველ ლიგაში დაქვეითება არ ასცდებოდა.

“სპარტაკმა“ კვარაცხელიას გარდა ისეთი ფეხბურთელები დაიმატა, გულშემატკივართათვის კარგად რომ არიან ცნობილნი: 30 წლის რევაზ ჯიქია (თავდამსხმელი), 26 წლის კობა შალამბერიძე, (ნახევარმცველი), 27 წლის დავით ციმაკურიძე (მცველი), 23 წლის ლაშა ძაგანია და 20 წლის თორნიკე ზარქუა (ორივე-მეკარე).

“სპარტაკი“ თბილისში გააგრძელებს მზადებას და 6 ივლისს “სპარტაკის“ დუბლშემადგენლობა სტუ-ს გაეჯიბრება, 8 ივლისს კი ძირითადი გუნდი საჩხერის “ჩიხურას“ გაეჯიბრება. როგორც “სპარტაკის“ პრესატაშემ დავით ცაბაძემ გვაცნობა, 10-დან 22 ივლისამდე გუნდი ურეკში გაემგზავრება და მეორე შეკრებას გაივლის, ამასთან რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც ჩაატარებს. სეზონის დაწყებამდე “სპარტაკში“, სულ მცირე, ორი ახალი ფეხბურთელის გამოჩენასაც უნდა ველოდოთ.

თუკი ზოგ უმაღლესლიგელს მომავალი სეზონისთვის მზადება ჯერაც არ (უფრო სწორად, ვერ) დაუწყია, ჩემპიონატის დებიუტანტმა მარტვილის “მერანმა“ პირველი მოსამზადებელი ეტაპი უკვე მოილია. მალხაზ ჟვანიას გუნდმა ბაკურიანული შეკრება დაასრულა, სადაც აქცენტი ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე გაკეთდა, თუმცა უმაღლესი ლიგის დებიუტანტებმა ერთი საკონტროლო მატჩიც ჩაატარეს და “ბორჯომს“ 2:0 სძლიეს.

ამ შეხვედრაში გოლები თორნიკე შალიკაშვილმა და გურამ სამადაშვილმა გაიტანეს.

ამის შემდეგ, ჟვანიამ შეგირდებს ორდღიანი დასვენების უფლება მისცა, მზადების მეორე ეტაპი კი მარტვილში დაიწყეს, რასაც ურეკული შეკრება მოჰყვება. 10 ივლისს “მერანი“ ზუგდიდის “ბაიას“ გაეჯიბრება, 15-ში კი — ქუთაისის “ტორპედოს“. ეს ორივე შეხვედრა აბაშაში გაიმართება.

“სამტრედიადან“ თორნიკე შალიკაშვილის გადაბირების შემდეგ “მერანმა“ ფოთის “კოლხეთიდან“ მეკარე გიზო შენგელია, ბათუმის “დინამოდან“ გიორგი მანწკავა, “ბათუმიდან“ ელგუჯა გრიგალაშვილი, საჩხერის “ჩიხურადან“ კი დავით ქამუშაძე დაიმატა. მარტვილელთა ბოლო ახალწვეული კი გორელი თავდამსხმელი გურამ სამადაშვილია, რომელიც ბოლოს “კოლხეთში“ თამაშობდა.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ მარტვილის ცენტრალურ სტადიონზე ახალი საფარის დაგება მიმდინარეობს და “მერანს“ ამიტომაც უწევს აბაშაში თამაში. წესით, ჩემპიონატის დაწყებისთვის მარტვილის სტადიონი სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს.

# კონტრაქტი პირდაპირ ეთერში

საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „არენას“ პირდაპირ ეთერში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ და მაუწყებლის გენერალურმა პროდიუსერმა გიორგი გაჩეჩილაძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის მთელი სეზონის ჩვენებაზეა გათვლილი.

სიჭინავას თქმით, მატჩების რეპორტაჟები მხოლოდ კეთილმოწყობილი და განათების საერთაშორისო სტანდარტების მქონე სტადიონებიდან დაიგეგმება — ეროვნული სტადიონიდან, ქუთაისიდან, “მიხეილ მესხიდან“, რუსთავიდან, ზესტაფონიდან. შესაძლოა, ქალაქების ჩამონათვალს ფოთიც შეემატოს, ვინაიდან სტადიონის რეკონსტრუქცია და განათების სისტემის გაძლიერება “ფაზისზეც“ იგეგმება.

“საზოგადოებრივი მაუწყებელი“ შეხვედრების გაშუქებას 11 კამერით აპირებს, რაც ქართულ სინამდვილეში დიდი ფუფუნებაა. ასე მატჩები მხოლოდ დასრულებული ჩემპიონატის ბოლო შვიდ ტურში გადაიცა, ახლა კი ეს სისტემატურად მოხდება.

სიჭინავას თქმით, “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ეროვნული ჩემპიონატის კადრების ჩვენების ექსკლუზიური უფლება ექნება, სხვებს კი ეს მხოლოდ მას შემდეგ შეეძლებათ, როდესაც მატჩის კადრებს “საზოგადოებრივის“ მაყურებელი იხილავს. ცხადია, შეზღუდვები საინფორმაციო გამოშვებებში გასაშვებ ხანმოკლე კადრებს არ შეეხება.

ცნობილი გახდა ისიც, რომ პირველი ლიგის მატჩების გაშუქებას ერთ-ერთი ინტერნეტტელევიზია აპირებს.

# „სიტი“ ტევესს 50 მილიონად აფასებს

„მანჩესტერ სიტიმ“ თავისი არგენტინელი თავდამსხმელის კარლოს ტევესის ფასი დაადგინა. მისი გადაბირების მსურველ კლუბს ფეხბურთელის სანაცვლოდ 50 მილიონი ფუნტის გადახდა მოუწევს. არგენტინელმა “სიტის“ ამ ზაფხულსვე დატოვების სურვილი უკვე გამოთქვა და მისით დაინტერესებულ კლუბს აღნიშნული თანხის გადახდა მოუწევს. ტევესს “მანჩესტერ სიტისთან“ კონტრაქტი კიდევ სამი წლით აკავშირებს და ამიტომ, კლუბი ფეხბურთელს წამგებიანი პირობით არაფრით შეელევა. ფეხბურთელის ხელფასი კლუბში კვირაში 200 ათას ფუნტს შეადგენს.

ტევესმა “მანჩესტერ სიტის“ დატოვების გადაწყვეტილება თავის ცოლთან და შვილებთან ახლოს ყოფნის სურვილით ახსნა, რომლებიც ამჟამად ბუენოს-აირესში ცხოვრობენ. ფეხბურთელს არ დაუკონკრეტებია, აპირებს თუ არა კარიერის მაინც და მაინც არგენტინაში გაგრძელებას.

27 წლის ფეხბურთელი “სიტიში“ 2009 წლიდან ირიცხება. მანამდე ის “მანჩესტერ იუნაიტედში“, “ვესტ ჰემში“, ბრაზილიურ „კორინთიანსსა“ და არგენტინულ “ბოლა ხუნიორსში“ თამაშობდა.

# მესამე ფავორიტმაც წაიფორხილა

### ურუგვაი-პერუ 1:1

**0:1 გერერო (23), 1:1 სუარესი (45)**

**ურუგვაი:** მუსლერა, პერეირა, ლუგანო, ვიქტორინო, კასერესი, პერესი, არევალო, ლოდეირო (როდრიგესი 79), კავანი (ერნანდესი 79), ფორლანი, სუარესი

**პერუ:** ფერნანდესი, რევორედო, აკასიეტე, როდრიგესი, ვილჩესი, ბალბინი, გევარა, კრუსადო, ადვინსულა (ჩიროკე 90), იოტუნი (ვარგასი 60), გერერო (ლობატონი 58)

დღის პირველმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ურუგვაისა და პერუს შორის გამართულმა დაპირისპირებამ ოსკარ ტაბარესის გუნდის უპირატესობით ჩაიარა, მაგრამ ურუგვაელები მაინც მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. ანგარიში აუტსაიდერად შერაცხულმა გუნდმა გახსნა. 23-ე წუთზე, პერუს კონტრშეტევის დროს, გევერას კარგი გადაცემით მეკარესთან პირისპირ გასულმა გერერომ მუსლერაც იოლად მოატყუა და ცარიელ კარში ბურთის შეგორებით ანგარიში გახსნა. დიდი უპირატესობა გატანილ გოლში ურუგვაიმ ტაიმის მიწურულს გარდასახა, მას შემდეგ, რაც მეტოქის საჯარიმოში დასარტყმელ პოზიციაზე აღმოჩნდა ლუის სუარესი.

მეორე ტაიმში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის აღმოჩენა□გუნდი ბევრს ეცადა პირველი 3 ქულა მოეპოვებია კოპა ამერიკაზე, მაგრამ როგორც სხვა ფავორიტად შერაცხულმა გუნდებმა ვერ მოახერხეს, ისე ვერ შეძლო ურუგვაის ნაკრებმა სასურველი ანგარიში დაეფიქსირებინა ტაბლოზე.

### ჩილე-მექსიკა 2:1

**0:1 არაუხო (41), 1:1 პარედესი (67), 2:1 ვიდალი (73)**

**ჩილე:** ბრავო, პონსე, კონტრერასი, ხარა, ისლა, მედელი, ვიდალი, ბოსეჟური (პარედესი 60), ფერნანდესი (კარმონა 84), სანჩესი, სუასო (ესტრადა 90)

**მექსიკა:** მიჩელი, აგილარი, არაუხო, რეინოზო, მიერი, ჩავესი, ენრიკესი, აკინო (პერალტა 73), რეიესი, დოს სანტოსი, მარკესი (პაჩეკო 89)

კოპა ამერიკის პირველი ტურის ბოლო სათამაშო დღეს იმაზე მეტი გოლი გავიდა, ვიდრე მანამდე ჩატარებულ ოთხ მატჩში ერთად. ამ მხრივ, უფრო გამორჩეული იყო ტურის ბოლო შეხვედრა, რომელშიც ჩილე მექსიკას დაუპირისპირდა.

მექსიკელებმა ზედ ჩემპიონატის წინ დისციპლინის დარღვევისთვის 8 ფეხბურთელი მოკვეთეს ნაკრებიდან და ჩილესთან მატჩში გამოკვეთილ აუტსაიდერად იყო მიჩნეული. ეს ნათლად გამოჩნდა შეხვედრის მიმდინარეობისას. მექსიკის ეს ნაკრები კლაუდიო ბროგის გუნდს ბევრად ჩამოუვარდება. მთელი მატჩის განმავლობაში, ჩილელები დიდ უპირატესობას ფლობდნენ. მექსიკამ სულ 2 მეტნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნა, რომელთაგან ერთს ანგარიშის გახსნა მოჰყვა. 41-ე წუთზე, კარიდან დაახლოებით 8 მეტრში მყოფმა არაუხომ თავური დარტყმით აიღო ბრავოს კარი.

ჩილემ ანგარიში 67-ე წუთზე გაათანაბრა, მას შემდეგ, რაც მეტოქე მცველებისგან მარტოდმარტო დატოვებულმა პარედესმა ბურთი ცარიელ კარში იოლად გაიტანა. ექვს წუთში, ფერნანდესის მიერ ბურთის კუთხურიდან მოწოდების შემდეგ, ვიდალმა თავით ყველას დაასწრო და გუნდს პირველი 3 ქულა მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

**C ჯგუფი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ჩილე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 2. | პერუ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 3. | ურუგვაი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 4. | მექსიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

# შედეგები

**ფეხბურთი**

**კოპა ამერიკა**

ურუგვაი-პერუ ........ 1:1
ჩილე-მექსიკა ........ 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

დიურგარდენი-ჰელსინბორგი ........ 1:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ფრედრიკსტადი-ტრომსო ........ 0:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-ჰიკი ........ 2:4
მიუპა-ჯჯკ ........ 2:1
ჰაკა-იარო ........ 3:1

**აშშ. მლს**

სოლტ ლეიკი-ნიუ ინგლენდი ........ 3:3
ლოს ანჯელესი-სიეტლი ........ 0:0

**ფრენბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

**ქალები**

რუსეთი-პოლონეთი ........ 3:1

**ჩოგბურთი**

**ატპ. ნიუპორტი. ბალახი**

ვანგი-გრიგელისი ........ 6:4;2:6;6:2
ულიეტი-ლიპსკი ........ 6:4;6:1
ბოგომოლოვი-ზვერევი ........ 4:6;6:3;6:1
როხუზი ო.-ჯონსი ........ 6:4;3:6;6:3
იანგი-კაპდევილია ........ 6:2;6:1
დიმიტროვი-დაბული ........ 6:2;6:4
ბემელმანსი-გრემელმაიერი ........ 6:4;6:2
ბრაუნი-ბაჰინგერი ........ 6:7;7:6;1:6

**ვტა. ბაშტადი. თიხა**

ბარტელი-ვერნერი ........ 6:4;7:5
ლიმი-ოზგა ........ 6:7;7:5;6:1
რეზაი-ამანმურადოვა ........ 6:2;4:6;6:3
როგოვსკა-ბოვინა ........ 2:6;7:6;6:2
დომინგეს ლინო-ალგურინი ........ 6:3;6:4
არეფიევა-გრიმალსკა ........ 1:6;6:1;7:5
ზაჰლავოვა-მელანდერი ........ 6:2;6:3
ლარსონი-კუდრიავცევა ........ 6:3;6:1
იაკიმოვა-კრეიბასი ........ 2:6;7:6;6:1
საფაროვა-დოლონცი ........ 3:6;4:6
დუშევინა-ბარტელი ........ 6:2;7:6
ჰერცოგი-ტატიშვილი ........ 7:5;6:3

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# გიორგი ღვინიაშვილი: „კახეთში მარცვლეული კულტურების უპრეცედენტო მოსავალია“

**კახეთში ალოობაა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს რეგიონის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა განუცხადა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კახეთში მარცვლეული კულტურების უპრეცედენტო მოსავალი მოვიდა.**




— წინა წლებში ერთ ჰექტარზე ქერის მოსავალი 2,5 ტონა თუ გამოვიდოდა, ეს დიდ მიღწევად ითვლებოდა. წელს, ვინც ყანებს მოუარა, გაცილებით მეტი მოსავალი გამოდის. სიღნაღში ქერის მოსავალი 4-5 ტონამდე ავიდა. ზოგან 6 ტონაც კი აიღეს ჰექტარზე, — განაცხადა გიორგი ღვინიაშვილმა.

მისივე თქმით, მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი სოფლის მეურნეობის დარგში სათანადოდ მომზადებული კადრების დამსახურებაა.

— ჩვენ აგრონომების შტატები დავამატეთ მუნიციპალიტეტების გამგეობებში, რომლებიც ფერმერებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ასწავლიან მოსავლის მოყვანას. გარდა ამისა, ამინდმაც ხელი შეგვიწყო, — აღნიშნა გუბერნატორმა.

ხორბლის ყველაზე დიდი მოსავალი გურჯაანში მოვიდა. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 5-6 ტონაა.

—□ვინც აგროვადები დაიცვა, ჰექტარზე 6,1 ტონა მოსავალი აიღო. სოფელ ჩუმლაყში, ერთ-ერთ ნაკვეთში ჰექტარზე 6,8 ტონა ხორბალიც მიიღეს. კომბაინს უჭირდა სიარული, ისეთი ხშირი ყანა იყო, — გვითხრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ სოფლის მეურნეობის დარგში ვალერი გორგიშელმა.

აგრონომი ხორბლის უხვმოსავლიანობას სამი ფაქტორით ხსნის: აგროვადების დაცვა, საკვები მინერალებით მდიდარი ნიადაგი და ამინდი.მისი თქმით, მოსავლის ასაღებად საკმარისი ტექნიკაა. □კომბაინი არ გვიჭირს. შპს „მექანიზატორს“□ 10 კომბაინი ჰყავს და ვისაც დაჭირდება, გამოიწერს. აღებულ ხორბალს ზოგი ყიდის, ზოგი ინახავს. ვისაც მარცვლეულის შენახვის საშუალება არა აქვს, მოსავალს კაჭრეთის წისქვილკომბინატში ინახავს, — ამბობს გორგიშელი.

წინასწარი მონაცემებით, გურჯაანის რაიონში 2 500 ჰექტარი ხორბლის ნათესებიდან 20 000 ტონამდე მოსავალს აიღებენ. 800 ჰექტარი ქერის ნათესებიდან კი ჰექტარზე საშუალოდ 4-5 ტონას ელოდებიან.

მუნიციპალიტეტების გამგებლები ირწმუნებიან, რომ წელს მარცვლეული კულტურების ასაღებად კომბაინი არცერთ რაიონს არ უჭირს. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნოდარ კოჭლამაზაშვილის თქმით, „მექანიზატორიდან“ კომბაინის გამოწერა და მოსავლის აღება ჰექტარზე დაახლოებით 85-დან 100 ლარამდე ჯდება. ამ ფასში შედის საწვავის ფასი და მომსახურეობა. ხორბლის გადასატანად მანქანის მომსახურეობის ფასიც მანძილის მიხედვით არის განსაზღვრული, — აღნიშნავს გამგებელი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მთავარი აგრონომი ნიკოლოზ მესხი ამბობს, რომ მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის მიზეზი, პირველ რიგში, ხარისხიანი სათესლე მასალაა.

—□მარცვლეული კულტურების წარმოების პროგრამის გათვალისწინებით მოვახდინეთ სათესლე მასალის გამოცვლა, რადგან ძველი მასალა აღარ ვარგოდა. ფერმერს შეუძლია ახალი მასალა 4 წლის მანძილზე კვლავწარმოებაში გამოიყენოს. ფერმერები წლევანდელი მოსავლით კმაყოფილები არიან და სამომავლოდ მეტის დათესვას აპირებენ, — განაცხადა ნიკოლოზ მესხმა.

სტატისტიკური მონაცემებით, კახეთში ხორბალი სულ 37 100 ჰექტარზეა დათესილი. მათ შორის, 8 340 ჰექტარი ჯაგერის ჯიშისაა, დანარჩენი სხვადასხვა ჯიშებია. ქერის ნათესები კი 3 553 ჰექტარს შეადგენს. რეგიონში 1 კილოგრამი ხორბლის გასაყიდი ფასი ამ დროისთვის 55 თეთრია, ქერის კი 60-დან 70 თეთრამდე მერყეობს.

***კახეთის საინფორმაციო ცენტრი***

# „არდიფესტი“ დასრულდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გოგოლაძისა და ნინი ჩაკვეტაძის ერთმანეთისგან ჟანრულად რადიკალურად განსხვავებული სპექტაკლებით გაიხსნა. გიორგი ჯიქიას სპექტაკლი „ეშმაკის მონოლოგი“ ჩეჩენი მწერლის ისა კოაძოას მოთხრობის თავისუფალი ინსცენირება იყო. შალვა გოგოლაძემ კი მაყურებელს „სიზმარი“ წარუდგინა. შალვა გოგოლაძე გასულ წელსაც მონაწილეობდა „არდიფესტივში“ და სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვდნენ. პირველი საფესტივალო დღე ნინო ჩაკვეტაძის სპექტაკლმა „არა უშავს“ დახურა, რომელშიც ორი მსახიობი შაკო მირიანაშვილი და იაკო ჭილაია მონაწილეობდნენ.

ფესტივალის მეორე დღეს კი ფესტივალის სტუმრებმა და ჟიურიმ შეაფასეს „თევზის იავნანა“ (პიესის ავტორი და რეჟისორი ალექსანდრე ლორთქიფანიძე), „სრულიად საქართველოს მოსახლეობის აზრი“ (პიესის ავტორი და რეჟისორი იოსებ ბაკურაძე) და „ვოდკა გარბაჩოვ“ (პიესის ავტორი დათო ჩიხლაძე, რეჟისორი თეონა მესტუმრე). სამივე სპექტაკლი ახალ ქართულ პიესებზე დაიდგა. სწორედ ახალი პიესების შექმნა და მისი პოპულარიზაციაა ფესტივალის ორგანიზატორთა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

„არდიფესტის“ მესამე საფესტივალო დღის პროგრამაში კი გაერთიანებული იყო პაპუნა ჭელიძის „სალათის ფოთლები“, რეჟისორი ლევან ხვიჩია, შტაუბერის მიხედვით დადგმული „სახლობანა“, რეჟისორი გიორგი ხოსიტაშვილი, ალექსა ჩილვინაძის „ამას ტურისტებს არ უჩვენებენ“, რეჟისორი ლაშა ბერსენაძე, „ლავ რატს“, პიესის ავტორი და რეჟისორი პაატა ციკოლია. წარმოდგენილი სპექტაკლებიდან სამი თანამედროვე ქართული პიესების მიხედვით დაიდგა.

ფესტივალის ბოლო საკონკურსო დღეს კი სამეფო უბნის თეატრის სცენაზე გათამაშდა სემუელ ბეკეტის „კრეპის უკანასკნელი ფირი“, რეჟისორი დავით ჩხარტიშვილი, დათა ფირცხალავას „ტკბილი სახლი“, რეჟისორი დათა ფირცხალავა, იანუშ გლოვაცკის „ახლა დაიძინებ“, რეჟისორი მაია დობორჯგინიძე და სემ შვარცის „მიაუ“, რეჟისორი მიხეილ ჩარკვიანი. როგორც ჩანს, ორგანიზატორებმა ფესტივალის დასასრულისთვის კამერული სპექტაკლები შემოინახეს. ორიგინალური იყო ისიც, რომ 4 სპექტაკლში მხოლოდ 6 მსახიობი მონაწილეობდა.

ფესტივალ „არდიფესტის“ ოფიციალური ნაწილი კი დასრულდა, მაგრამ მომდევნო დღეს მის ფარგლებში კიდევ ერთი ღონისძიება გაიმართა — „შვედური საღამო“. მასში სამეფო უბნის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობდნენ და წარმოადგინეს შვედურ-ქართული პროექტების შედეგები. პროექტი „ქალთა ხმა“ ქართველი და შვედი ქალი დრამატურგების თანამშრომლობას გულისხმობს. მსახიობებმა წაიკითხეს პროექტის შედეგად შექმნილი ხუთი მონოპიესა. ორი მათგანი ქართველმა ავტორებმა ირმა ტაველიძემ და ნინო სურამელაშვილმა შექმნეს. შვედურ-ქართული საღამო პოპულარული თანამედროვე შვედი დრამატურგისა და მწერლის იუნას ჰასენ ხემირის პიესის „ხუთჯერ ღმერთი“ კითხვით დასრულდა. „შვედურ საღამოზე“ დასწრება, ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალი იყო.




## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 2. ატომგულის შემადგენელი დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი; 3. თანამედროვე ქართველი მწერალი; 4. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 5. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 9. ჭაობში ბინადარი პატარა ფრინველი; 10. ძველებური ჯიბის საათი; 14. სპეციალურად შეგროვებული და გამხმარი მცენარეების კოლექცია; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრი წყაროს რაიონში; 16. დამატებითი ჯილდო, პრემია; 19. არგენტინელი მწერალი; 20. ნიადაგის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 24. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია.

**თარაზულად:** 6. ბოტანიკური ბაღის ნაწილი; 7. ტვინის შერყევა; 8. აკრობატული სპორტული იარაღი; 11. საჭმლის სანელებელ-სუნელთა ერთობლიობა; 12. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან ღებულობენ წითელი ფერის საღებავს; 13. ქალაქი კახეთში; 17. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 18. ერთკუზიანი აქლემი; 22. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 23. პატარა თევზსაჭერი გემი; 24. ჯაშუში, დამსმენი; 25. გემის სრული ტვირთმზიდაობა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყუმი; 2. ჩელსი; 3. კრეიგი; 5. ყურჭი; 6. ჭიაურელი; 8. ციმაკურიძე; 10. სკუტერი; 12. მონასპა; 14. ლოგიკა; 15. საცივი; 16. ალიბი.

**თარაზულად:** 1. ყაყაჩო; 4. ტყაპუჭი; 7. წულაძე; 9. გვრინი; 11. ამერიკა; 12. მაშვრალი; 13. შტერნი; 17. მიოპია; 18. კილი; 19. ოპტიმიზმი; 20. მედიცინა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კარიერი; 2.ოფიცერი; 3. ლივერპული; 4. ბელუჩი; 5. ორძელი; 9. გიენა; 10. ასპექტი; 14. ინტენდანტი; 15. კოკოშკოვი; 16. ალუპკა; 19. ძელშავი; 20. ავერსი; 21. ალეგრი.

**თარაზულად:** 6. რატიფიკაცია; 7. მეტეორი; 8. კიბუცი; 11. ქიაჩელი; 12. კროსი; 13. ჰუდზონი; 17. მონმარტრი; 18. პოლიგლოტი; 22. ყვირილა; 23. კალანდა; 24. კვესტურა; 25. ბირთვისი.

# დუშეთის ობსერვატორია – უყურადღებოდ მიგდებული სამეცნიერო დაწესებულება

**დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია მსოფლიოში ერთ-ერთი უ ველესი და ამიერკავკასიის მასშტაბით ამ პროფილის ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა. თავისი მნიშვნელობის მიუხედავად, ობსერვატორიაში სამეცნიერო მუშაობისათვის საჭირო პირობები არ არსებობს.**



[მცხეთა - მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი]

ობსერვატორია 175 წლის უნიკალურ მეცნიერულ მასალას ინახავს. ამ სამეცნიერო დაწესებულებას ისტორიაც გამორჩეული აქვს. აქ ნიკოლოზ ბარათაშვილი და იოსებ სტალინი მუშაობდნენ. ობსერვატორიის ეზოში კი ცნობილი რუსი პოეტის, ალექსანდრე პუშკინის ბებიაა დაკრძალული.

ობსერვატორია დედამიწასა და მასში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს აკვირდება. მისი მონაცემები მიწისძვრის წინამორბედი პროცესების კვლევისთვის გამოიყენება. წლების მანძილზე დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია გეოფიზიკის ინსტიტუტის დაქვემდებარებაში იყო. რამდენიმე თვის წინ, ის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცეს.

დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიის ხელმძღვანელი რობერტ გოგუა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში ამბობს, რომ ობსერვატორიას ძალიან უჭირს. □დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიისთვის გამოყოფილი ერთადერთი თანხა თანამშრომლების - 4 მეცნიერ - თანამშრომლის და 4 დარაჯის მწირი ხელფასია. იყო დრო, როცა ცდების ჩასატარებლად ხელსაწყოებიც არ გვქონდა. 5 წლის უკან, იაპონიის გეომაგნიტიზმის ცენტრმა საჩუქრად თანამედროვე ხელსაწყოები გადმოგცა.

— გეომაგნიტიზმის საერთაშორისო ასოციაცია გლობალური დათბობისა და გეოფიზიკური ველების გლობალური ცვლილებების კვლევას ახორციელებს. ამ პროცესში ჩვენი ობსერვატორიაც არის ჩართული. თანამშრომლობა ძალიან გვიჭირს. წესით, ჩვენი მონაცემები ფინეთში ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ უნდა გადაიგზავნოს, მაგრამ ინტერნეტი არ მოგვეწოდება და ინფორმაციის გასაგზავნად თბილისში ჩავდივართ, — აღნიშნავს რობერტ გოგუა.

გეოფიზიკური ობსერვატორია 1836 წელს თბილისში დაარსდა. იმ დროისთვის მსოფლიოში სულ 30 ობსერვატორია ფუნქციონირებდა. 1904 წელს ქალაქში ელექტროფიცირებული ტრანსპორტის ამუშავების გამო ობსერვატორია მცხეთის მახლობლად სოფელ კარსანში გადაიტანეს. თბილისი - ხაშურის რკინიგზის ამოქმედების შემდეგ, სამეცნიერო დაწესებულებას ადგილსამყოფელი კიდევ ერთხელ შეუცვალეს და 1935 წელს დუშეთში გადაიტანეს.

ობსერვატორიას მუშაობაში ხელი რომ არ შეშლოდა, თავის დროზე ის საგანგებოდ იყო დაცული. კანონი სამეცნიერო დაწესებულებიდან 500 მეტრის რადიუსში ახალი ნაგებობის მშენებლობას კრძალავდა. ამჟამად, დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიის ირგვლივ რამდენიმე ახალი მშენებლობა მიმდინარეობს. ობსერვატორიის ღობე მთლიანად მორღვეულია, სამეცნიერო დაწესებულების დამხმარე შენობა-ნაგებობები კი გაძარცული და განადგურებული.

**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ზურაბ ქაფიანიძე გარდაიცვალა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გახლდათ საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მონაწილეობდა ფილმებში: „ხევსურული ბალადა“, „დათა თუთაშხია“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ღიმილის ბიჭები“, „ლონდრე“, „ბებერი მეზურნეები“, „ფეოლა“, „ნერგები“. მსახიობმა სულ 43 ფილმში მიიღო მონაწილეობა. ქართულ კინემატოგრაფში მისი ბოლო ნამუშევარი ზაზა კოლელიშვილის ფილმი „ომი და ქორწილი“ აღმოჩნდა, რომელიც რეჟისორმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის თემაზე გადაიღო.

ზურაბ ქაფიანიძე ხშირად მხატვრულად კითხულობდა ლექსებს. მსმენელში ყველაზე დიდი მოწონებით სარგებლობდა მის მიერ წაკითხული ლექსი „წუხელის ბიჭი დაბადებულა“... იგი წლების განმავლობაში მონაწილეობდა შოუ-ბიზნესცენტრ „ლომისის“ მიერ მომზადებულ საკონცერტო სერიაში „მღერიან და ხუმრობენ ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები“, სადაც თავის კოლეგებთან ერთად თავისი ცხოვრების ყველაზე სახალისო და მნიშვნელოვან ამბებს იხსენებდა.

ზურაბ ქაფიანიძეს ხუთშაბათს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ.

**ეკა ირემაშვილი**

# თურქეთმა ლიბიელი ამბოხებულები ცნო

**თურქეთის ხელისუფლებმა ლიბიელი ამბოხებულების ხელმძღვანელი ორგანო, გარდამავალი ეროვნული საბჭო ლიბიელი ხალხის კანონიერ წარმომადგენლად ცნეს.**



ბენგაზიში ვიზიტით მყოფმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმეტ დავუთოღლუმ განაცხადა, რომ რეფორმების მოთხოვნა, რითაც ლიბიელი ხალხი გამოდის, დაკმაყოფილებულ იქნას და კადაფი უნდა წავიდეს. ლიბია მის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად არ უნდა გაიხლიჩოს.

თურქეთი, გარდა ამისა, ლიბიელ ამბოხებულებს ივნისში დაპირებული 100 მილიონი დოლარის გარდა კიდევ 200 მილიონ დოლარ დახმარებას დაჰპირდა.

გარდამავალი ეროვნული საბჭო უკვე ათამდე ქვეყანამ აღიარა, მათ შორის გერმანიამ, იტალიამ და საფრანგეთმა.

მიმომხილველების თქმით, დავუთოღლუს ვიზიტი ბენგაზიში მოწმობს, რომ თურქეთმა, რომელიც თავდაპირველად კადაფის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგი იყო, პოზიცია შეიცვალა და ლიბიის ოპოზიციის მხარდაჭერა გადაწყვიტა.

საომარი ოპერაციების დაწყებამდე თურქული კომპანიები ლიბიაში მილიარდობით დოლარის ღირებულების სამშენებლო პროექტებში მონაწილეობდნენ.

ლიბიელმა ამბოხებულებმა თავის მხრივ უარყვეს აფრიკის კავშირის წინადადება ტრიპოლის ხელისუფლებთან შუამავლად გამოსვლის შესახებ.

ამბოხებულების წარმომადგენელმა აბდელ ჰაფის გოგამ ეს გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ აფრიკის კავშირის მიერ შემოთავაზებული ეს კომპრომისი კადაფის, მისი ვაჟებისა და უახლოესი გარემოცვის წასვლას არ გულისხმობდა.

იმავდროულად, გარდამავალი ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელმა უსტაფა აბდულ ჯალილმა განაცხადა, რომ კადაფის შეუძლია დარჩეს ლიბიაში, თუკი ძალაუფლებაზე სრულად იტყვის უარს.

იმ შემთხვევაში, თუ კადაფიმ ლიბიაში დარჩენა გადაწყვიტა, ამბოხებულები თავად გადაწყვეტენ, თუ სად შეიძლება იცხოვროს მან. ეს ადგილი და მისი გადაადგილება საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ იქნება.

# სამგლოვიარო განცხადებები



ვაზისუბნის IV მიკრორაიონის, I კვარტლის, მე-13 კორპუსის მობინადრენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეზობელი, ღვაწლმოსილი პიროვნება, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ფიზიკოსი, მრავალი თაობის აღმზრდელი და სწორ გზაზე დამყენებელი, ნამდვილ ქართულ ტრადიციებზე გაზრდილი და მისი ცხოვრებაში გამტარებელი კაცი, ბატონი

**აფრასიონ სერგოს ძე ხაჭაპურიძე**

და გულწრფელად თანაუგრძნობენ მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 5, 6 ივლისს, 17 საათზე.

გამოსვენება: 9 ივლისს, 08 საათზე.

დაკრძალვა: 9 ივლისს, 15 საათზე, სოფელ ბუგეულში (ამბროლაურის რაიონი).

---

სერგო მანჯგალაძე გულისტკივილს გამოთქვამს უახლოესი მეგობრის

**ბადრი ლორთქიფანიძის**

გარდაცვალების გამო და იზიარებს ქალბატონი ლამარასა და მთელი ოჯახის ღრმა მწუხარებას.

---

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ბატონ ზაზა მეიშვილს მამის, ბატონი

**ჯემალ მეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება: 7 ივლისს, 14 საათზე, მუხიანის წმინდა მირიანისა და ნანა დედოფლის სახელობის ეკლესიიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რატკო მლადიჩი სასამართლო დარბაზიდან გააძევეს



ბოსნიელ სერბთა არმიის ყოფილი სარდალი რატკო მლადიჩი საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ მისი საქმის განხილვის დროს დარბაზიდან გაიყვანეს.

რატკო მლადიჩმა რამდენჯერმე გააწყვეტინა სიტყვა მოსამართლე ალფონს ორის, რომელიც მის ბრალდებებს კითხულობდა, რის შემდეგაც ყოფილი გენერალი დარბაზიდან გაიყვანეს.

ორშაბათს გამართული სხდომის დროს რადიჩს პასუხი უნდა გაეცა მოსამართლის შეკითხვაზე, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ მისთვის წაყენებული ბრალდებების თანახმად.

იმის გამო, რომ მლადიჩმა ამ განცხადებაზე უარი განაცხადა, მოსამართლემ არსებული პროცედურების თანახმად, სხდომის ოქმში მლადიჩის სახელით შეიტანა განცხადება, რომლის მიხედვითაც მლადიჩმა წაყენებული ბრალდებების მიხედვით თავი უდანაშაულოდ ცნო.

მლადიჩმა სხდომის დაწყების დროს რამდენჯერმე სცადა გამოსვლა, მაგრამ მოსამართლემ მას სიტყვის მიცემამდე ჩუმად ყოფნა სთხოვა.

მოსამართლემ მლადიჩი გააფრთხილა იმის გამო, რომ ნებართვის გარეშე ლაპარაკობდა და დარბაზში თავმოყრილ ხალხს მიმართავდა.

რატკო მლადიჩმა თავის დამნაშავედ ცნობაზე უარი მას შემდეგ განაცხადა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა მისი ადვოკატის შეცვლის შესახებ.

დაცვის მიერ სასამართლოს შენობიდან გაყვანის წინ მლადიჩმა მოსამართლე ორის შესძახა „თქვენ ჩემთვის ადვოკატის თავს მოხვევა გსურთ და თქვენ ამის შემდეგ თავს სასამართლოს უწოდებთ?“

მლადიჩის გაყვანის შემდეგ საქმის განხილვა განახლდა.

მოსამართლემ 11 პუნქტისაგან შემდგარი ბრალდებები წაიკითხა, გენოციდისა და მკვლელობის ბრალდებების ჩათვლით და მლადიჩის სახელით განცხადება გაავრცელა თავის უდანაშაულოდ ცნობის შესახებ.

ჰააგის სასამართლოს მიერ მლადიჩის საქმის პირველი სხდომა 3 ივნისს გაიმართა.

მაშინ განსასჯელს ბრალდებები წაუკითხეს, რის შემდეგაც მოსამართლე ალფონს ორიმ მლადიჩს ჰკითხა, სურს თუ არა თავის უდანაშაულოდ ცნობა ან ყოველი პუნქტის მიხედვით თავს დამნაშავედ აღიარებს.

პასუხად მლადიჩმა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს შეურაცხმყოფელი უწოდა და განაცხადა, რომ დოკუმენტების გულმოდგინედ შესასწავლად მას თვეზე მეტი დასჭირდება.

მოსამართლემ მას შეახსენა, რომ არსებული წესების თანახმად, განცხადებების გასავრცელებლად მას მხოლოდ 30 დღე ჰქონდა. ფორმალური განცხადების გაკეთებაზე უარი თავის უდანაშაულოდ ცნობის ტოლფასად არის მიჩნეული.

მლადიჩისათვის წაყენებული მთავარი, გენოციდეს ბრალდება 1995 წელს სრებრენიცაში 7500-მდე ბოსნიელი მამაკაცისა და ჭაბუკის მკვლელობას უკავშირდება.

ბრალდების სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები უკავშირდება სარაევოს 44-თვიან ბლოკადას, რომელიც 1992 წლის მაისში დაიწყო და 10 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

რატკო მლადიჩმა პროცესის დაწყებამდე განაცხადა, რომ ჰააგის ტრიბუნალს არ ცნობს.

# იაპონელმა გეოლოგებმა იშვიათი ლითონების ბაზარზე ჩინეთის მონოპოლიას საფრთხე შეუქმნეს



იაპონელმა მკვლევარებმა განაცხადეს, რომ წყნარი ოკეანის ფსკერზე მათ იშვიათი ლითონების მდიდარი საბადოების აღმოჩენა შეძლეს. ამ წიაღისეულს თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობების შესაქმნელად იყენებენ.

გეოლოგების შეფასებით, წყნარი ოკეანის ფსკერზე დანალექ ფენებში იშვიათი ელემენტების მარაგი 100 მილიარდ ტონას აღწევს.

ექსპერტების შეფასებით, ამ გეოლოგიურმა აღმოჩენამ იშვიათი ელემენტების ბაზარზე არსებული ვითარება კარდინალურად შეიძლება შეცვალოს. ამჟამად ამ ბაზრის 97%-ს ჩინეთი აკონტროლებს.

ბრიტანული ჟურნალის „ნეიჩა გეოსაიენსის“ მონაცემებით, ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა გეოლოგიის პროფესორის, იასუჰირო კატოს ხელმძღვანელობით იშვიათი ელემენტები ოკეანის ფსკერზე 78 სხვადასხვა ადგილას აღმოაჩინა.

ეს საბადოები იშვიათი ლითონების მაღალი კონცენტრაციით ხასიათდებიან. მხოლოდ ერთმა კვადრატულმა კილომეტრმა მსოფლიოში იშვიათი ლითონების მოთხოვნილების ერთი მეხუთედი შეიძლება დააკმაყოფილოს.

მინერალები 3.5-6 კმ სიღრმეზე აღმოაჩინეს.

საბადოები ჰავაის კუნძულების დასავლეთით, ტაიტისა და საფრანგეთის პოლინეზიის აღმოსავლეთით მდებარეობს.

იასუჰირო კატოს თქმით, ლაპარაკია 80-100 მილიარდი ტონა იშვიათი ლითონების მარაგზე.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის მონაცემებით, იშვიათი ლითონების ამჟამად დაზვერილი მარაგი 100 მილიონ ტონას შეადგენს და ეს საბადოები ძირითადად ჩინეთში, რუსეთში, სსრკ-ის ყოფილ სხვა რესპუბლიკებში და აშშ-ში მდებარეობს.

იშვიათ ლითონებზე ფაქტობრივმა მონოპოლიამ გასულ წელს ჩინეთს შესაძლებლობა მისცა, ორ ქვეყანას შორის ტერიტორიული დავის დროს იაპონიაში იშვიათი ლითონების ექსპორტი შეეჩერებინა.

ამ ინფორმაციამ ევროპელ, ამერიკელ და იაპონელ მწარმოებლებს შორის ნამდვილი პანიკა გამოიწვია. ევროკავშირმა და აშშ-მ ჩინეთს ამ მნიშვნელოვანი ნედლეულის ექსპორტის პოლიტიკის განმარტება მოსთხოვეს.

ამ შემთხვევის შემდეგ იაპონია იშვიათი ლითონების ალტერნატიული წყაროს აქტიურ ძებნას შეუდგა.

მალაიზიის მთავრობა ამჟამად ავსტრალიის მიერ დაფინანსებული პროექტის ამოქმედების შესაძლებლობას იხილავს. იშვიათი ლითონების მოპოვების ეს პროექტი მრავალ ქვეყანას გარემოს რადიოაქტიური დაბინძურების შესაძლებლობის გამო არ მოსწონს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სწრაფად იზრდება იმ კომპანიების რიცხვი, რომლებსაც ოკეანის ფსკერიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში ჩართვა სურთ.

ახალი გვინეის ნაპირას, ბისმარკის არქიპელაგისა და სოლომონის კუნძულების მახლობლად მდებარე საბადოების დამუშავების უფლება პირველმა სამთო-მომპოვებელმა კომპანია „ნაუტილუსმა“ მიიღო.

იგი ე.წ. ზღვის შტუფურ სულფატებს მოიპოვებს, რომლებიც ოქროსა და სპილენძს შეიცავენ. ოკეანის ფსკერიდან ფერადი ლითონების მოპოვების პერსპექტივა ეკოლოგების შეშფოთებას იწვევს. ამ საქმიანობამ ეკოლოგიას მძიმე ზიანი შეიძლება მიაყენოს.

# ჯოან როულინგმა თავის აგენტს ინტერნეტი ამჯობინა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შეიქმნა ონლაინ თამაშების საიტი „პოტერმორი“, რომელიც პოტერიანას პერსონაჟების თავგადასავლებს ეძღვნება.

გარდა უბრალო თამაშებისა, პოტერმორზე მონაწილეებს შეეძლებათ სხვადასხვა პრიზების მოძებნაში შეეჯიბრონ ერთმანეთს, რომლებიც რეალურ სამყაროში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში იქნება დამალული.

საიტის სტუმრები, გარდა ამისა, მთავარ პერსონაჟებთან ერთად ჰოგვართსის სკოლაში სწავლას შეძლებენ, მაგიური ინვენტარის შეძენის შესაძლებლობა ექნებათ, 33 ათასი ვარიანტიდან ინდივიდუალური ჯადოსნური წკირის შერჩევის შესაძლებლობაც ექნებათ.

ინტერნეტ საიტი ოქტომბერში ამოქმედდება, მისი სტუმრები ჰარი პოტერის რომანების ელექტრონული ვარიანტის შეძენასაც შეძლებენ.

ჯოან როულინგმა მთელს მსოფლიოში „პოტერიანას“ წიგნების 400 მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაყიდა და ამის წყალობით დიდი ბრიტანეთის უმდიდრეს ქალად იქცა.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი**
**6 ივლისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია (გან.) **13.30** მეხსიერება **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი სამართალი **18.30** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი "შავწვერა" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.30** აივანი **00.00** მხ. ფილმი **"თავისუფლების მწერლები"** (12) **02.10** მოამბე **02.30** ევროპული არჩევანი **04.00** ჩვენი ეზო

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **20.00** მხ. ფილმი **"უჩვეულო ქორწინება"** **01.00** მხ. ფ. **"ელიზაბეთთაუნი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი **"სამოთხე მოიცდის"** (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვმარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **00.00** პოკერ რინგი **01.00** მხ. ფილმი **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) **03.30** მხ. ფილმი **"უცხოპლანეტელი 3"** (ს. უივერი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** ფარული კამერა **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.00, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **12.50, 19.30** სერ. **"მეგობრები"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ნერგები"** **13.40** კონცერტი – ფესტივალი "ჩვენებურები" მე-2ნ. **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** მხ. ფილმი **"ლომა, დავიწყებული მეგობარი"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"მოცურავე"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფილმი "ტრიუმფი ლა-სკალაში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პერსპექტივა **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** პერსპექტივა (გაგრძ.) **01.45** მოკლ. ფილმი "წყარო გზის პირას"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**6 ივლისი**

აშშ დოლარი — 1,6651

ევრო — 2,4176

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,679

რუსული რუბლი — 0,0599

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25-26, ღამით — 16-29

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-27, ღამით — 1§-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-24, ღამით — 11-1§

## ამინდის პროგნოზი 6 ივლისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 295-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ასტროპროგნოზი 6 ივლისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც გამოგდით. **ლომი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **სასწორი** — გზიდან კარგ ამბავს გაიგებთ. **ღრიანკალი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, უფროსობა გწყალობთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც მოაქვს. **თხის რქა** — საღამო მშვენიერი იქნება. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 2. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 5. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 6. რაიონული ცენტრი გურიაში; 8. ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება; 10. მე-19 საუკუნის ინგლისელი მწერალი; 12. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. გია დანელიას კინოკომედია; 16. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ტელეგრაფით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 4. მიწაში ბინადარი ცხოველი; 7. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 11. წყალხმელეთა ცხოველი; 12. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 13. ესპანური შემაგრებული ღვინო; 17. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 18. გემის უკანა ნაწილი; 19. ჩუქურთმა ანუ...; 20. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*




## ჯოან როულინგმა თავის აგენტს ინტერნეტი ამჯობინა



ბრიტანელმა მწერალმა ჯოან როულინგმა განაცხადა, რომ თავის ძველ ლიტერატურულ აგენტ ქრისტოფერ ლითლთან თანამშრომლობას წყვეტს. ლითლთან იგი 16 წლის განმავლობაში მუშაობდა და ჰარი პოტერის შესახებ მისი პირველი რომანი სწორედ ლითლის გამომცემლობაში გამოიცა.

თავის დროზე ლითლმა გამომცემლობა სწორედ „ჰარი პოტერისა და ფილოსოფიური ქვის" გამოსაცემად გახსნა.

ჯოან როულინგის თქმით, თავის აგენტთან თანამშრომლობის შეწყვეტის გადაწყვეტილება მისთვის ძალიან მტკივნეული გამოდგა, თუმცა იგი უსაფუძვლო არ ყოფილა.

ქრისტოფერ ლითლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს ურთიერთობის გაწყვეტა და დაუმატეს, რომ ლიტერატურული აგენტი ამ გადაწყვეტილებით გაკვირვებული და იმედგაცრუებული დარჩა.

„ლითლი ჯოან როულინგთან 16 წლის განმავლობაში მუშაობდა, — განაცხადეს აგენტის წარმომადგენლებმა, — იგი აღტაცებული იყო როულინგის ტალანტით, ამაყობდა მის წარმატებასთან კავშირით, მაგრამ მწერლის გადაწყვეტილებით იმედგაცრუებული დარჩა".

მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში როულინგმა გამოაცხადა, რომ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი



მართვის მოწმობის გამოცდის დროს მანქანა ხეს დაეჯახა. გამომცდელმა შარვლიდან პარპრიზის ნამსხვრევები ჩამოი-ბერტყა და გამოსაცდელს მშვიდად მიმართა:

— ახლა გვაჩვენეთ, თუ როგორ შეგიძლიათ მანქანის გაჩერება, როდესაც წინ დაბრკოლება არ გაქვთ.

***

— სუვენიერი — ნივთი, რომელსაც საკუთარ ქალაქში არასოდეს იყიდდით.

***

— სხვას ისე უნდა მოექცე, რომ შენთან ისევე მოქცევა ვერ მოახერხონ...

***

— აქ რას აკეთებთ?
— თვითმფრინავს ველოდები.
— რა თვითმფრინავს ელოდებით ჩემს კარადაში?
— იმას, რომლითაც დღეს თქვენ მივლინებაში მიფრინავთ...

***

— ცირკიდან გაპარული დათვი მოტოციკლის ქურდობაზე დაიჭირეს...

— საინტერესოა, რა უფრო შორს არის რეალობისაგან, მამაკაცის ლოგიკა, ქალის სურვილი, ბავშვის ოცნება თუ მოხუცის მოგონებები?

***

— მოსმენის უნარი ხანდახან ერთი ყურიდან მეორეში გაშვების უნარს ნიშნავს...

***

— ერთი წვეთი ნიკოტინი თხუთმეტ წუთ სამუშაო დროს კლავს...

## „შალკე" ყენიასთან განშორებას აპირებს



გერმანული გამოცემა „ბილდის" ინფორმაციით, ლევან ყენია იმ ხუთ ფეხბურთელს შორისაა, რომელთაც გელზენკირხენის „შალკეს" ხელმძღვანელობა მომავალ სეზონში გუნდის რიგებში არ მოიაზრებს.

„ბილდის" ცნობით, ვიდრე ფეხბურთელები შვებულებაში იყვნენ, გელზენკირხენელთა სპორტული დირექტორი ჰორსტ ჰელდტი გუნდში ყოფილი მთავარი მწვრთნელის, ფელიქს მაგათის კადრების შეკვეცით იყო დაკავებული. „შალკემ" რამდენიმე ფეხბურთელი გაყიდა, ხოლო ნაწილთან კონტრაქტები გაწყვიტა. თუმცა, „ბილდი" ირწმუნება, რომ ჰელდტი ამაზე შეჩერებას არ აპირებს და იმ ხუთი ფეხბურთელის სიას აქვეყნებს, რომლებიც კლუბს დატოვებენ: ლევან ყენია, ჯერმეინ ჯონსი, ენტონი ანანი, იან მორავეცი და ხაო იუნმინი.

— სეზონის დასაწყისისთვის გუნდში 24 ან 26 ფეხბურთელი იქნება. ანანს და ხაოს უკვე ველაპარაკეთ და ახალი კლუბების მოძებნა ვურჩიეთ, — განუცხადა ჰელდტმა „ბილდს".

ბუნებრივია, გელზენკირხენელები მათთვის არასასურველი ფეხბურთელების გუნდიდან გაშვებით ადგილს ახალი შენაძენებისთვის ათავისუფლებენ. იმ ფეხბურთელთა სიაში, ვისი შეძენაც „შალკეს" სურს, პირველი „ვოლფსბურგის" ნახევარმცველი საშა რიტერია, რომელიც 2,5 მილიონ ევროდაა შეფასებული.

ყენიას კოჭზე რამდენჯერმე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, წელიწადი და 9 თვე არ უთამაშია, ხოლო ვარჯიშს აგვისტოს დასაწყისში განაახლებს. თუ სად და როგორ გაგრძელდება მისი კარიერა, ამ ეტაპზე უცნობია.

მ. ჟ.

## ზურაბ ქაფიანიძე გარდაიცვალა



ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი, ზურაბ ქაფიანიძე, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამი კვირის წინ მას ინსულტი დაემართა. მდგომარეობის დამძიმების შემდეგ მსახიობი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. იგი წლების განმავლობაში, სამსახიობო კარიერასთან ერთად, მეცნიერული საქმიანობითაც იყო დაკავებული და შუმერულ დამწერლობას იკვლევდა.

ზურაბ ქაფიანიძე 1937 წლის პირველ აპრილს დაიბადა, რაზეც ხშირად ხუმრობდა კიდეც, რადგან პირველი აპრილი მოტყუებასთან არის დაკავშირებული. მსახიობმა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა, რის შემდეგაც მოღვაწეობდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში, ასევე გახლდათ კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი. 1999-2003 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. იგი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ბერა ივანიშვილი: „ნამდვილი ბოზი მირჩევნია ყალბ ქალიშვილს"!

ეკა ირემაშვილი



ქართულ შოუბიზნესში გამოჩენილი ქართველი მომღერალი, ბერა ივანიშვილი, რომელიც საზოგადოებაში მეტსახელ ბერათია ცნობილი, თავის მუსიკალურ კარიერაში საკმაოდ თამამ განცხადებებს აკეთებს. ცნობილი ქართველი მეცენატის ბიძინა ივანიშვილის ვაჟი საქართველოში საკმაო პოპულარობით სარგებლობს და ამის დასტური მისი კლიპის პრეზენტაციაა.

კინოთეატრ „რუსთაველში" მან თავისი ერთგული თაყვანისმცემლები შეკრიბა და მათ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## რამდენად პრაგმატული ხართ?

**ტესტი**



1. გაზეთს აღებისას, წაკითხვის წინ თუ ათვალიერებთ?
2. როდესაც ცუდ ხასიათზე ხართ, ჩვეულებრივზე მეტს თუ ჭამთ?
3. ფიქრობთ საქმეებზე ჭამის დროს?
4. ინახავთ სასიყვარულო წერილებს?
5. გაინტერესებთ ფსიქოლოგია?
6. გეშინიათ დიდი სიჩქარით მგზავრობის?
7. სიკვდილზე ფიქრს თავს არიდებთ?
8. გიყვართ საწოლში, ძილის წინ ოცნება?
9. კითხულობთ სასიყვარულო რომანებს?
10. თავს არიდებთ მარტოობას?
11. თუ ყოფილა, რომ პრობლემების გამო ავად გამხდარხართ?
12. თუ გაგაჩნიათ სხვა ქალაქში ცხოვრების სურვილი?
13. თქვენი ხასიათი მემკვიდრეობით გერგოთ?
14. დადიხართ კინოში სასიყვარულო ფილმებზე?
15. თუ ყოფილა, რომ თქვენი გაჩერება გამოგრჩენიათ?
16. იღლებით 8-საათიანი ძილით?

**პასუხები**

პასუხები დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით.

**0-4 ქულა:** ზედმეტად პრაგმატული ხართ, არ გყოფნით რომანტიკულობა, ცხოვრება სერიოზული რამაა, მაგრამ ხანდახან იუმორიც საჭიროა.

**5-8 ქულა:** ილუზიებსა და რეალობას შორის წონასწორობის მიღწევა მოახერხეთ, თუმცა, სენტიმენტალურობა მაინც გახასიათებთ.

**9-12 ქულა:** თქვენი ოცნებები ყოველთვის არ შეესაბამება ცხოვრების სინამდვილეს, არ ცდილობთ ყველა პრობლემის სრულყოფილი გადაწყვეტის მიგნებას.

**13-16 ქულა:** შეიძლება ითქვას, რომ რეალობას ემალებით, იქნებ სჯობდეს ხანდახან სინამდვილეს თვალებში ჩახედოთ. ეს დაგეხმარებათ უკეთ გაერკვეთ გარემოში და პრობლემები აიცილოთ თავიდან.

გ.თ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი